

140 / 3
1948

ՀԱՅԿՍՏԱՆԻ
ՎՊՏԱԿԱՐԱՆ



1948

№ 2

Վ ր Ե Ն Գ Կ Ը



პიონერი

საპარტვილო საკავშირო ცენტრალური კომიტეტის
ქოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ПИОНЕРИ

Ежемесячный детский журнал
Центрального Комитета
ЛКСМ Грузии

(на грузинском языке)

თებერვალი
გამომცემლობა „კომუნისტი“

რედაქციის მისამართი:
თბილისი ლენინის ქ., № 28,
ტელეფონი № 3-81-65

უახლესი გორბაჩოვი

სტალინგრადი

არ ჰქონია გალავანი ირგვლივ,
გმირთა მკერდი იყო მისი კედელი.
ცეცხლში იყო გახვეული იგი
და კლდესავით იდგა შეუდრეკელი.
სწვავდნენ, მაგრამ ვერ მოთხარეს ფუძე,
ვერ წაგვართვეს უწმინდესი ალაგი,
სტალინგრადი — არწივების ბუდე,
სტალინგრადი — გამარჯვების ქალაქი.
მის კარებთან ძირს დაეცა მტერი,
ალარ ისმის ყვავ-ყორნების ჩხავილი.
კვლავ შენდება მშრომელების ხელით
და მის ცისქვეშ იფურჩქნება ყვავილი.
სწვავდნენ, მაგრამ ვერ მოთხარეს ფუძე,
ვერ წაგვართვეს უწმინდესი ალაგი,
სტალინგრადი — არწივების ბუდე,
სტალინგრადი — გამარჯვების ქალაქი.



თებერვალი

იხურება ზამთრის კარი
და თებერვლის დაჰქრის ქარი.
კიდევ ერთხელ მღერის გული:
გაზაფხული, გაზაფხული!

მოდის, მოდის გაზაფხული,
თებერვალი სტვენს და ბერავს,
ხეებს, ხელით გაწაფულით,
მარტი კაბას შეუკერავს;

ზოგან წითელ, ზოგან ყვითელ,
ზოგან კიდევ ალისფერად –
გააღვიძებს მძინარ კვირტებს
ვენახში თუ ჭალისპირად.

იხურება ზამთრის კარი
და თებერვლის დაჰქრის ქარი.
კიდევ ერთხელ მღერის გული:
გაზაფხული, გაზაფხული!

გაცოცხლდება დღეს თუ ხვალე
ნაბუდარი ძველისძველი,
თავს ჩიორა დასტრიალებს,
უკვე ჩადგა საძირკველი.

უკვე მოჩანს ბალავარი
მოჭიკჭიკე ჩიტის ბუდის,
პაწაწინა გალავანით,
ვით ქართლელი ბიჭის ქუდი.

მზე აღვიძებს პირველ იას,
ენძელას და ლამაზ შროშანს,
ჩვენ შევხარით მარადამზიან
თებერვალის დიად დროშას!

იხურება ზამთრის კარი:
და თებერვლის დაჰქრის ქარი.
კიდევ ერთხელ მღერის გული:
გაზაფხული, გაზაფხული!

გიორგი შაგვერაშვილი





უძლეველი საბჭოთა არმია

ჩვენმა დიადმა ხალხმა მიმდინარე წლის 23 თებერვალს ზეიმით იღვწასწაულა თავისი არმიის — საბჭოთა არმიის 30 წლისთავი. ათეული წლების მანძილზე სოციალისტური ქვეყნის მხედრობამ განვლო დიდების შარავანდედით მოსილი გზა, მისი ისტორია აღსაყვება მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებით, გამირობისა და თავდადების არნახული მავალითებით.

ყოველი საბჭოთა ადამიანი, ყოველი პატროსანი ადამიანი უცხოეთში, რომლისთვისაც ძვირფასია ხალხთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება, მოწიწებით გადაფურცლავს და შეისწავლის საბჭოთა არმიის ბრძოლების ნათელმოსილ მატინეს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილ მსოფლიოში პირველ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ დარაზმული იყვნენ, როგორც შინაური კონტრრევოლუციონერები, ისე უცხოეთის იმპერიალისტები. ამიტომ 1918 წელს საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ამოცანა იყო შექმნა შეიარაღებული ძალებისა, რომლებიც მტრებისაგან დაიცავდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკას.

და აი, 1918 წლის 28 იანვარს ლენინის ხელმოწერით გამოქვეყნდა სახალხო კომისართა საბჭოს ბრძანება მუშათა და გლეხთა წითელი არმიის შექმნის შესახებ. ბოლშევიკების პარტიის მოწოდებით არმიის რიგები შეავსეს კომუნისტებმა და კომკავშირელებმა, მუშებისა და გლეხების საუკეთესო შვილებმა.

1918 წლის 23 თებერვალს ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი მშრომელი ხალხის არმიის რაზმებმა „ნარვასა და პსკოვთან გერმანელ ოკუპანტებს გადაწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიეს. მათი წინააწევა პეტროგრადისაკენ შეჩერებულ იქნა. გერმანიის

იმპერიალიზმის ჯარების უკუგდების დღე — 23 თებერვალი — გახდა ახალგაზრდა წითელი არმიის დაბადების დღედ“ („საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“).

ამ მნიშვნელოვანი გამარჯვების დღიდან იწყება საბჭოთა არმიის დიადი ისტორია.

არ ცხრებოდა საერთაშორისო იმპერიალიზმი. მისი სანუკვარი ოცნება იყო სისხლში ჩაეხრჩო საბჭოთა ხელისუფლება, აედგინა მეფისა და კაპიტალისტ-მემამულეების ბატონობა. ამ მიზნით საბჭოთა ქვეყნის დაუძინებელმა მტერმა უინსტონ ჩერჩილმა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ მოაწყო ინტერვენცია — „ოთხმეტი სახელმწიფოს ლაშქრობა“. ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ ინგლისელები, ფრანგები, თეთროლონელები, იაპონელები და სხვები. მათ მხარში ედგნენ რუსი გენერლების დენიკინის, იუდენიჩის, კრასნოვის, კოლჩაკისა და ვრანგელის თეთრგვარიელები.

ეს იყო 1918-1921 წლები — სამოქალაქო ომის მძიმე წლები.

წითელმა არმიამ ყველა ისინი გაანადგურა და განდევნა ჩვენი ქვეყნიდან. კარგად შეიარაღებულსა და მომარაგებულ, სამხედრო საქმეში უფრო გამოცდილ ურიცხვ მტერს წითელმა არმიამ სძლია იმიტომ, რომ მას სათავეში ედგნენ გენიალური სტრატეგები — დიდი ლენინი და დიდი სტალინი.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ იგი იცავდა მშრომელი ხალხის ხელისუფლებას — საბჭოთა ხელისუფლებას, საკუთარ ხელისუფლებას. ეს იყო უშრეტე წყარო წითელარმიელთა მასობრივი გამირობისა.

წითელმა არმიამ გაიმარჯვა იმიტომ, რომ „წითელი არმიის უმნიშვნელოვანეს გამარჯვებათა უშუალო სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო სტალინი. ყველგან, სადაც კი ფრონტებზე რევოლუციის ბედი წყდებოდა, სტალინი იყო წინააღმდეგობის სიმბოლო“.



ბოდა, პარტია ვზავნიდა სტალინს. იგი იყო უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული გეგმების შემოქმედი“ (იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მოკლე ბიოგრაფია).

სამოქალაქო ომის ფრონტებზე დიდი დამსახურებისათვის ლენინის ინიციატივით 1919 წლის 27 ნოემბერს ამხანაგი სტალინი დაჯილდოებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების, პირადად დიდი სტალინის ყოველდღიური მზრუნველობით წითელი არმია უფრო და უფრო მძლავრი, მაღალი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვილი ხდებოდა. ეს ძლიერება 1929 წელს საკუთარ ზურგზე გამოსცადეს გათავსებულმა ჩინელმა მილიტარისტებმა, რომლებმაც პროვოკაციული თავდასხმით ხელთ იგდეს სსრ კავშირის კუთვნილი აღმოსავლეთ ჩინეთის რეინიგზა. ჩინელი დამპყრობლები ერთი დარტყმით იქნენ განადგურებულნი დალაინორსა და ხაილართან.

სტალინური მხედრობის ძლევამოსილი დარტყმა იგემეს აგრეთვე იაპონელმა სამურაებმა 1938 წელს ხასანის ტბასთან, ხოლო 1939 წელს მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში.

საბჭოთა არმიის მებრძოლთა განსაცვიფრებელი გამბრძოლისა და ტექნიკური სიმძლავრის დემონსტრაცია იყო საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომი 1939-40 წლებში. ეს ომი, როგორც ცნობილია, დაიწყო ფინეთმა, რომლის რეაქციულ მთავრობას ყოველმხრივ დახმარებას უწყვიდნენ უცხოეთის იმპერიალისტური სახელმწიფოები. ლენინგრადის სამხედრო ოლქის ჯარებს მოქმედება მოუწიათ ზამთრის სასტიკი ყინვის პირობებში. მათ დასძლიეს მტრის ტყიან-ჭაობიანი რაიონები, ნაცარ-ტუტუდ აქციის ტექნიკის უკანასკნელი მიღწევებით მოწყობილი რკინა-ბეტონის სიმაგრეები — ეგრეთწოდებული „მანერჰაიმის ხაზი“. ომი დამთავრდა თეთრფინელთა სრული განადგურებით.

1941 წლის 22 ივნისს, მშვიდობიანი მშენებლობის ფერხულში ჩაბმულ ჩვენს ხალხს, საბჭოთა ქვეყანას მოულოდნელად და ვერაგულად თავს დაესხა ფაშისტური გერმანია. თავისი მასშტაბით კაცობრიობის ისტორიაში უმაგალითო ომის—საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ხაზი გადაჭიმული იყო ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანედან შავ ზღვამდე. საბჭოთა არმია მარტო ებრძოდა გერმანიის, რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთისა და იტალიის 257 დივიზიას.

საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს სათავეში ჩაუდგა გენიალური მხედართმთავარი დი-

დი სტალინი. მიუხედავად საბჭოთა არმიის დროებითი წარუმატებლობისა დიდმა მხედრობით იმთავითვე ურყევად იყო დარტყმული ჩვენი არმიის გამარჯვებაში. მან განაცხადა, რომ „...ფაშისტური არმია ე შეიძლება ისევე დამარცხდეს და დამარცხდება კიდევ, როგორც დამარცხდნენ ნაპოლეონისა და ვილჰელმის არმიები“.

დიდი სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა არმიამ სტალინგრადთან პიტლერული დივიზიების განადგურების შემდეგ მტერს ხელიდან გამოგლიჯა ინიციატივა და თვითონ გადავიდა შეტევაზე. გიგანტურ ბრძოლებში მიღწეული ბრწყინვალე გამარჯვებებით საბჭოთა არმიამ ჯერ ჩვენი მიწა-წყალი გასწმინდა პიტლერული სიბილწისაგან, ხოლო შემდეგ ბრძოლებით განვლო პოლონეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ავსტრია, გერმანია და მტერი მისსავე ბუნაგში გაანადგურა.

ბერლინზე აღიმართა ჩვენი გამარჯვების ალისფერი დროშა!

დაეხმარა რა თავის მოკავშირეებს, საბჭოთა არმიამ გაილაშქრა იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ და 1945 წლის 9 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე იაპონელ ოკუპანტებისაგან გაათავისუფლა მთელი მანჯურია, სამხრეთ სახალინი, კურილიის კუნძულები და კორეა. საბჭოთა არმიის ძლევამოსილმა დარტყმებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს იაპონიის იმპერიალიზმის განადგურებაში და მეორე მსოფლიო ომის დამთავრებაში.

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ჯარის ისეთი მაღალი მორალური სულისკვეთება, როგორიც გამოავლინა საბჭოთა არმიამ დიდი სამამულო ომის წლებში. სამშობლოს, ხალხის, დიდი სტალინის ბოლომდე ერთგული საბჭოთა არმია მასობრივი გამბრძოლის არმია გახდა. 11 ათას საბჭოთა მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გამბრძოლის სახელწოდება. 7 მილიონზე მეტი ჯარისკაცი, ოფიცერი და გენერალი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

საბჭოთა არმიის ამ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულეს ზურგის მშრომელებმა. ისინი ფრონტს უხვად აძლევდნენ ტანსაცმელს, სურსათ-სანოვავებს, ჩვენი სახელოვანი კონსტრუქტორების მიერ შექმნილ მძლავრ სამხედრო ტექნიკას.

საბჭოთა არმიის დიადი XXX წლისთავის ზეიმის დღეებში ჩვენი სახელოვანი, დევგმირი ხალხი კიდევ და კიდევ მრავალჯერ ღრმა გრძნობით გაიმეორებს ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვებს: „ეს ჩვენი ბედნიე-



რება იყო, რომ ომის მძიმე წლებში წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი დიდი სტალინი. გენერალისიმუს სტალინის სახელით ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი“.

ჩვენი ხალხი, იმუშებს რა ომით მიყენებულ ჭრილობებს, იმედით შესცქერის ნათელ მომავალს, მას არ აშინებს ახალი ომის გამჩაღებლების ბოროტი ყეფა, რადგან „დიდ სამამულო ომში“ საბჭოთა ჯარების

მიერ მოპოვებულმა ბრწყინვალე გამარჯვებებმა ცხადყოვეს წითელი არმიის უღებო რული ძლიერება და მისი მაღალი მხედრული ოსტატობა. ჩვენმა სამშობლომ ომის მსვლელობაში მიიღო პირველხარისხოვანი საკადრო არმია, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას ჩვენი ხალხის დიადი სოციალისტური მონაპოვარნი და უზრუნველყოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებრივი ინტერესები“ (ი. ბ. სტალინი).

ესანური სიმღერა

(მიხალკოვიდან)

ცხოვრობდა სამი ამხანაგი
პატარა ქალაქსა—ენ-ს.
ტყვედ მოხვდნენ ფაშისტთა ბანაკში:
სამივეს გულეებსა სტკენს.

დაუწყეს დაკითხვა პირველსა,
დიღხანს აწამებდნენ მას,
კვდებოდა მებრძოლი წამებით,
და არ კი იღებდა ხმას.

დაუწყეს დაკითხვა მეორეს,
დანა ვერ უღებდა პირს,
და მოკვდა უსიტყვოდ ისიცა,
ვითარცა შეშვენის გმირს.

მესამემ ტანჯვას ვერ გაუძლო,
სიკვდილის წინადა სთქვა:
„რა გვაქვს ჩვენ საერთო, მხეცებო,
გამცემი მოძებნეთ სხვა!“

და ჩაფლეს სამივე ორმოში
იქ, სადაც კლდე ჩეროს ჰუენს;
და ასე დავკარგეთ სამი ძმა
პატარა ქალაქსა—ენ-ს.

ი. შიშინაძე



მთხრობა


ადრიატიკის დილის ქვიშისფერ ჰაერში ბუნდოვანად ჩანან ტოტეხშირი ტირიფები, რომლებიც გაშლილი ქოლგებივით ჩამოქრევებულან მდინარე ყუბანის გასწვრივ. მდინარის მარცხენა ნაპირზე, სადაც უკანდახეული გერმანელები არიან ჩასანგრებულო, ხედიზედ გავარდა ქვემეხი. ჭურვებმა ჰაერის გამწვავი სისინით გადმოიქროლეს და ბექობზე დაენარცხნენ.

— ცოტა მარჯვნივ რომ გაესროლა იმ წყეულს, ჭურვები ჩემს მიწურს დაეცემოდნენ, — ჩაილაპარაკა სნაიპერმა ივანემ და მიწურის სახურავიდან ჩამოაცვინილი მიწის ნაფხვენები შემოიბერტყა.

ასე დაიწყო სნაიპერის ფრონტული დილა. ივანე ფრთხილად წამოიწია და მის წინ გადაშლილ ველს გადახედა. აი, იქ... პატარა ბექობის გადაღმა, სულ სამასიოდე მეტრის დაშორებით მტერი განახულა.

როგორც სნაიპერს სჩვევია, ივანე ყურადღებას ამახვილებს, რომ მცირეოდენი ხმაურიც კი არ გამოეპაროს. იგი ერთხელ კიდევ სინჯავს შამხანის სამიზნეს, ამოწმებს რამდენად სანდოდაა შენიღბული, რომ შამხანის ოპტიკური სამიზნებლის მინამ ბრწყვიალი არ დაიწყოს მზის სხივებზე და არ გასცეს იგი. მდინარე ყუბანის ნაპირზე ჩამოქრევებული ტირიფებიდან გარეული იხვების გუნდმა იფრთხილა. ივანემ თვალი გააყოლა მათ და გაიფიქრა: „სომ არავე დააფრთხო ისინი, ხომ არ არის იქ გერმანელი სნაიპერი?“ ივანე აკვირდება გარემოს. ისევ მაცდური სიჩუმე გამეფდა. ჩვეულებისამებრ ათვალთვრებს მის მიერ შენიშნულ და შესწავლილ საგნებს. აი, დანგრეული სახლი, მის გვერდით ორი მაღალი ტირიფი, მო-

შორებით დგას დაბალი ბუჩქი. მის თხელ ტოტეხში გარჩევით მოჩანს ყირიმის ქედის გრენილები. მწვანე ფერდობთან პატარა, თავმრგვალი ბორცვია ამართული. კარგად იცნობს ამ არეპარეს ეფრეიტორი ივანე, მცირეოდენი ცვლილებაც კი რომ მოხდეს მათში, არ გამოეპარება სნაიპერის თვალებს. შუადღემ მოაღწია, საშინელი სიცხე ჩამოწვა. ასეთ დროს გერმანელები გასაგრილებლად დადიან მდინარეზე და შეიძლება სნაიპერმა ივანემ გაადიდოს თავისი საბრძოლო ახგარიში. ამიტომ მან თვალი აღარ მოაშორა ოპტიკურ სამიზნებელს. განვლო კიდევ რამდენიმე ხანმა. შამხანის სამიზნებელში რაღაც შეიჩხა. ივანემ კარგად გაარჩია წელამდე გახდილი გერმანელი, რომელიც ვედროთი ხელში ყუბანის ნაპირისაკენ მიდიოდა, დარწმუნებული, რომ ხშირ ლერწმებში მას ვერავინ დაინახავდა, მაგრამ სწორედ მაშინ, როდესაც მას პატარა ბორცვი უხდა გადაერბინა, ივანეს თოფმა იგრილა. გერმანელს ვედრო გაუვარდა, შეტორტმანდა და პირქვე დაეცა. სნაიპერის ტყვიამ შემოფოთება გამოიწვია მტრის ბუნავში. გერმანელები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მალე აღმოეჩინათ საბჭოთა სნაიპერი, ამისათვის მათ ბევრ ოინს მიმართეს. ტრანშეის წინაყრილზე ფანერისაგან გაკეთებულ ჯარისკაცის თაფებს აღმართავდნენ, ხან ჩაჩქანს ამოყოფდნენ ტრანშეიდან, მაგრამ ამოდ ელოდნენ ჰიტლერელები სნაიპერის შეორედ გასროლას. ივანე მყისვე მიწურში ჩაიმალა, თოფი შეატრიალა და მის კოხდახზე ლურსმანის წვერით ჩვეულებისამებრ კიდევ ერთი ვარსკვლავი ამოჰკვეთა, ნიშნად იმისა, რომ მან შეცამეტე გერმანელი მოსპო.



მემდეგ ივანემ სათადარიგო სანგარში არ-
ჩია გადასვლა. გულდასმით შეამოწმა თავი-
სი შენობის მისასხამი, ბალახის დიდი
გვირგვინი საიმედოდ მოიხრეო თავზე და
დაკლაკნილ ბილიკზე წახოხდა. ასე გაიარა
მან 30 მეტრი და საგანგებოდ მოწყობილ
სათადარიგო სანგარში ჩაეშვა. როდესაც
დარწმუნდა, რომ ყველაფერი რიგზე იყო,
მტრის თვალთვალს შეუდგა.

სნაიპერი ჩვეულებრივად ზედავს ნაცნობ
საგნებს. აი, მტრის ტრანშეა, შავი, მიხვეულ-
მოსხვეული ზოლი, დანგრეული სახლი, მის
გვერდით ორი მაღალი ტირიფი, თავმრგვა-
ლი ბორცვი, განმარტოებით — დაბალი,
თხელტოტიანი ბუჩქი... მაგრამ აქ რაღაც
ცვლილებათ... თხელტოტიანი ბუჩქი ჩვეუ-
ლებრივად აღარ არის გამჭვირვალე. მას რა-
ღაც მომწვანო ფონი გადაჰკვრია. აღარ
ჩანს ბუჩქის ტოტებში ყირიმის ქედის ბუნ-
დოვანი კონტურები.

მტრის ტრანშეების წინაყრილზე ივანემ
კიდევ რამდენიმეჯერ შეამჩნია ადამიანის
თავის მსგავსი საგანი, რომელიც მოძრაობა-
ში შობილდა დროგამოშვებით. ფრიცებს
ეგონათ, რომ ივანე მანეკენს ცოცხალ ადა-
მიანად მიიღებდა და ტყვიას არ დაზოგავდა,
მაგრამ იოლი როლია ნაწრთობი სნაიპერის
მოტყუილება.

კარგა ხანი გავიდა, ზაფხულა: ვზე ყირი-
მის მოვერცხლილ მწვერვალზეა ეფარეო-
და, ივანე კი თვალს არ აცილებდა ობტაკურ
სამიზნებელს. იგი ვერ მოისვენებდა, ვადრე
არ გაიგებდა მწვანე ფონის საიდუმლოებას.
უცებ იმ ადგილიდან რაღაცამ დაიბრჭყვია-
ლა ჩამავალ მზის სხივებზე. — შეიძლება
გერმანელი მეთვალთვალება დურბინით,
სხვა რა უნდა იყოს ფრონტის ამ მოწინავე
ხაზზე? — ეკითხება ივანე თავის თავს. ამ
ფიქრებში იყო სნაიპერი, როცა სამიზნებელ-
ში რაღაც მოძრაობა შენიშნა. სნაი-
პერის თითმა შამხანის სასხლეტი ნე-
ლა გამოსწია და თოფის ხმამ მე-
ორედ დაარღვია ფრონტის მაცდური
სიჩუმე. მწვანე ფონი იმავე წამს მოსცილდა
ბუჩქის ტოტებს. მათში ისევ კარგად ვა-
მოჩნდნენ ყირიმის ქედის მწვერვალები.
ივანე სწრაფად ამოხტა მიწურიდან და თავ-

ქვე ბილიკზე თავაულებლად იწყო ხოხვა.
5-6 მეტრით არც კი გასცილებოდა მტრის
ვის მიწურს, რომ იმ ადგილას მტრის
ბოლის სვეტი აღიმართა. ზედიზედ გასკდა
ნაღმები; ივანეს თავზე სტვენით გადადიოდ-
ნენ ტყვიები. მაგრამ ივანეს ფერდობი იცა-
და.

— დაავიანეთ ფრიცებო! — ამბობდა
სნაიპერი თავისთვის და ხოხვას განაგრძობ-
და.

ყავისფერი ხავერდის კალთებით მოსდე-
ბოდა საღამო მდინამოს, როდესაც სნაიპერმა
ოცეულის მიწურს მიიღწია. ჯარისკაცებმა
იცოდნენ, თუ როგორ უნდა შეემოწმებინათ
ივანეს საბრძოლო წარმატება და მისი თო-
ფის კონდახს დაუწყეს გულდასმით სინჯვა.
შეამჩნიეს, რომ კონდახზე ახალი ვარსკვლა-
ვი იყო ამოკაწრული.

— ბიჭებო, ივანეს ერთი ფრიციც ჩაუ-
ძაღლებია! — ხმამალა დაიძახა უკრაინელ-
მა წითელარმიელმა გრიშა მაცუკმა.

— არა, ამხანაგებო, — ჩემს შამხანას კი-
დევ ერთი ვარსკვლავი აკლია, მაგრამ კარ-
გად არა ვარ დარწმუნებული, ჩემ მიერ გას-
როლილმა ტყვიამ გახვრიტა თუ არა ფრი-
ცის ვიწრო შუბლი... ამიტომ თოფის კონ-
დახზე ვარსკვლავი არ დამიხატავს, — შეს-
წორება შეიტანა გრიშა მაცუკის ნათქვამში
ივანემ.


- მაგაში ხვალ დარწმუნდები, ივანე!
- როგორ, წინ მივდივართ?,
- ღიახ, ეგრეა. ხვალ ფრიცებს უნდა შე-
ვუტოთო! — ამბობს სერჟანტი.

* * *


განთიადზე შეტევა დაიწყო. სწრაფად
მიიწვედა წინ ქვეგანაყოფი. ნაცნობ ადგი-
ლებს რომ მიუახლოვდა, სნაიპერმა ივანემ
დაბალი ბუჩქისაკენ გადაუხვია. აქ ეგდო
ხმელი და მაღალი გერმანელი, რომელიც
თავით ფეხებამდე წნული ბალახით იყო შე-
მოსილი. ივანემ ხელით შემოაცალა მკვდარს
ბალახი. მოკლული გერმანელი ოფიცერი
აღმოჩნდა.

— ესეც მეთოთხმეტე! — ხმამალა ჩაი-
ლაპარაკა სნაიპერმა, თოფის კონდახზე კი-
დევ ერთი ვარსკვლავი ამოკაწრა და ამხანა-
გებს წამოეწია.





„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 100 წლისთავი



ასი წლის წინათ გამოქვეყნდა მეცნიერული კომუნიზმის პირველი პროგრამული დოკუმენტი — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. „მანიფესტის“ ავტორები არიან მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს გენიალური მოძღვრება კლასობრივი ბრძოლის, სოციალისტური რევოლუციის, პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. მათ განსაზღვრეს პროლეტარიატის, როგორც კომუნიზმისათვის მებრძოლი კლასის, მსოფლიო ისტორიული როლი.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ „ქებათა-ქებაა მარქსიზმისა“, — გვასწავლის ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

კომუნიზმის ამ პროგრამულ დოკუმენტში მარქსმა და ენგელსმა გენიალურად ცხადჰყვეს, რომ ისტორიაში არსებული ყველა საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც ანტაგონისტური კლასებისაგან შესდგება, ერთიმეორეს ცვლიდა რევოლუციების საშუალებით.

პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის ნიადაგზე წარმოიშვა პირველი კლასობრივი საზოგადოება — მონათმფლობელური საზოგადოება. კლასობრივი ბრძოლა მონათმფლობელთა და მონებს შორის წარმოადგენდა ამ ისტორიული ეპოქის შინაარსს. მონათმფლობელური წყობილება შეიცვალა ფეოდალური წყობილებით. კლასობრივი ბრძოლა ფეოდალ ბატონებსა და

ყმა გლეხებს შორის წარმოადგენდა ამ საზოგადოებრივი წყობილების შინაარსს. ფეოდალური წყობილების ნანგრევებზე აღმოცენდა ბურჟუაზიული წყობილება. მაგრამ, უიმეორებთ, შეცვლა ერთი საზოგადოებრივი წყობილებისა მეორეთი ყოველთვის რევოლუციების გზით ხდებოდა.

ბურჟუაზიულმა რევოლუციამ ვერ მოსპო კლასობრივი შინაღმდეგობანი, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია და ჩაგვრა. ბურჟუაზიული საზოგადოება გაყოფილია ორ მოპირისპირე მტრულ ბანაკად — პროლეტარიატად და ბურჟუაზიად. კლასობრივი ბრძოლა ამ ორ ბანაკს შორის შეადგენს კაპიტალისტური წყობილების შინაარსს. მუშათა კლასის ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ კაპიტალიზმის წარმოშობისთანავე იწყება. ბრძოლის პროცესში პროლეტარიატი გამოცდილებასა და ცოდნას იძენს, იგი თანდათან შეიცნობს თავის კლასობრივ ინტერესებს, და ამგვარად, მისი ბრძოლა ორგანიზებული, შეგნებული, პოლიტიკური ბრძოლის ხასიათს ღებულობს. პოლიტიკურად გათვითცნობიერებული მუშათა კლასი არ კმაყოფილდება მხოლოდ თავის სადღეისო ინტერესებზე ზრუნვით. მან იცის, რომ ბურჟუაზიული წყობილების პირობებში მისი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია. ამის გამო მუშათა კლასი მთელ თავის ძალებს რაზმავს იმისათვის, რათა დაამხოს



ბურჟუაზიის პოლიტიკური ბატონობა და თავისი კლასობრივი ბატონობა დაამყაროს.

განვითარებული კაპიტალიზმის ეპოქაში შეიქმნა ისეთი პირობები, როცა ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი ჰბოჭავენ საწარმოო ძალთა განვითარებას, აფერხებენ მას. შრომა საზოგადოებრივი ხასიათისაა, ხოლო შრომის ნაყოფის მითვისება კერძო, კაპიტალისტური. ამ ნიადაგზე პროლეტარიატსა (შრომის ნაყოფის შემქმნელთა) და კაპიტალისტებს (შრომის ნაყოფის მიმთვისებელთა) შორის განვითარდა გადაულახავი წინააღმდეგობა. ეს გარემოება ადასტურებს, რომ კაპიტალისტური წყობილება ისტორიულად ისევე უნდა დაემხოს, როგორც თავის დროზე დაემხო ფეოდალური წყობილება. ეს ამოცანა პროლეტარიატმა უნდა შეასრულოს. ეს არის პროლეტარიატის ისტორიული მისია.

ასი წლის წინათ „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“ მთელ მსოფლიოს ამცნო ის ჭეშმარიტება, რომ „თანამედროვე სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მარტოდენ კომიტეტია, რომელიც მთელი ბურჟუაზიული კლასის საერთო საქმეებს განაგებს“, ცდილობს, მუშათა კლასის მილიონიანი მასები დაუმონოს ერთ მუჭა კაპიტალისტებს; დაიცვას ამ უკანასკნელთა მძარცველური ინტერესები.

ამიტომ სავსებით ბუნებრივია პროლეტარიატის მისწრაფება — რევოლუციის გზით, ძალდატანებით დაამხოს ბურჟუაზიული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, განახორციელოს პროლეტარიატის დიქტატურა, რომელსაც მუშათა კლასი გამოიყენებს ახალი კომუნისტური საზოგადოების ასაშენებლად.

პროლეტარიატს ამ დიად ისტორიულ ამოცანათა შესრულება შეუძლია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოქვეყნებიდან საუკუნე გავიდა. განვლილი ასი წელი წარმოადგენს „მანიფესტში“ გა-

მოთქმული იდეების ბრწყინვალე განხორციელებას. მარქსის და ენგელსის ლერება კომუნისმის შესახებ, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში ლენინისა და სტალინის მიერ განვითარებული და ახალ, უმაღლეს საფეხურზე აყვანილი, დაეუფლა ფართო მასებს და, ამგვარად, გადაიქცა სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის უდიდეს ძალად.


სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ მოძღვრების განხორციელების ტრიუმფს წარმოადგენს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საფუძველზე განხორციელებული სოციალისტური გარდაქმნები, სოციალისტური ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობანი კაპიტალისტურთან შედარებით, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის სულ უფრო და უფრო გამწვავება — ნათელყოფს, რომ კაპიტალისტური სისტემა განწირულია დასაღუპავად, რომ კომუნისმის გამარჯვება ისტორიული აუცილებლობაა.

„კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ასი წლის თავზე მშრომელი, პროგრესული კაცობრიობა, რომლის ავანგარდში სსრ კავშირი იმყოფება, ზეიმობს მარქსიზმ-ლენინიზმის მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებას. ამ გამარჯვების დიადი შედეგი ის არის, რომ „ამჟამად დემოკრატიისა და სოციალიზმის გაერთიანებული ძალები, ევროპაში და ევროპის ფარგლებს გარეთ, გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე მათი მოწინააღმდეგე იმპერიალიზმის ანტიდემოკრატიული ბანაკი“. (გ. მ. მოლოტოვი).

ჩვენ დიად საუკუნეში ეცხოვრობთ. ამ ეპოქის სიდიადე ისაა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროით, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის წინამძღოლობით ძლევა მოსილად მივდივართ წინ, კომუნისმისაკენ.

ლევან ჯანაშია



ბოგის სიხარული

მიდის შინისკენ, მიაფრენს
გოგის ოცნების ფრთები,
იცი, კარებთან ჭიკჭიკით
შემოხვდებიან დები.
თეთრ შუბლზე გიშრის შუქივით
მიმოიქნევენ წარბებს
და მოჰყვებიან ღიმილით
ეზოს ცელქების ამბებს.
გოგიც მოუსმენს, მიაპყრობს
აღერსით სავსე თვალებს.
მაგრამ მათ ჭიკჭიკს თავისი
ტკბილი ხმით შესცვლის მალე.
ეცდება, გაუზიაროს
დებს სიხარული დიდი,
თან აგრძნობინოს, დრო არის
ჰქონდეთ ძმისადმი რიდი;
იცოდნენ, რომ ასახელა
სწავლით ბიჭუნამ გვარი,
რომ ბეჯითობით გაელო
დღეს კომკავშირის კარი.

* * *

აროდეს გზა პიონერის
არ დაბინდია ნისლით,

ყაყაჩოებში ყაყაჩო
იყო სახელი მისი.
კომკავშირელთა კრებაზეც
არ უმსჯელიათ ბევრი,
ტოლად მიიღეს... ამაღლდა
სკოლის ცისფერი ჭერი.
ახლა შინისკენ მიაფრენს
გოგის ნაბიჯი ჩქარი.
რად არ ხარობდეს! ბიჭუნა
კომკავშირელი არის.
სულ გაბრწყინდება ამ ამბით
მისი ნათელი სახლი.
ნეტავ, თუ ამჩნევს მის ღიმილს
გზად მიმავალი ხალხი!

* * *

გული უმღერის, მიფრინავს,
არც გარემოა ყუჩად,
გოგის უცინის ქალაქი,
მისი ყოველი ქუჩა.
მზე დაკაშკაშებს, დაშლილა
ცაში ღრუბელთა ტივი, —
მიდის შინისკენ, მიჰყვება
გოგის ახალი სხივი.





„ნაკადული“

ნინო ნაკაშიძეს

აი, ეს ძველი ჟურნალი,
ყამთა სვლით გაფითრებული,
აი, დაკორფლილ ფურცელზე
ნახატი გაყვითლებული, —
ლექსის ქვეშ გლეხის ცანგალა,
ლექსივით ჩაფიქრებული...

ნაბდისა ქუდქვეშ ქოჩორი
ცანგალ, მოგტაცა სიომა!
რამ ჩაგაფიქრა, ცანგალავ?
იქნება ძია შიომა?!
იქნება დიდმა ვაჟამა?!
იქნება დიდმა აკაკიმ?!
...ჩაგესმის ფუტკრის ზუზუნნი
და ლეღების რაკრაკი...

ეს, „ნაკადული“ წანწკარებს, —
ზედ გულზე გეწანწკარება,
ცანგალ, დალიეს ლაქვარდი
მაგ თაფლისფერმა თვალებმა...
ეს, „ნაკადული“ წანწკარებს
გვიმრის და იის სურნელით —
ტკბილი ქართული ჟურნალი,
დიდება ნინოს ჟურნალი.

საით წავიდნენ, დიდედავ,
წვიმას ნატრული ტყეები!
ის ფიქრიანი ცანგალა,
ის მოდაისე დღეები!
შორს დარჩნენ... მზე ამოვიდა,
ამღერდნენ სსვა ჟურნალები, —
შეება იგრძნენ და გაბრწყინდნენ
სიამით შენი თვალები.

დიდედავ, ჩემო დიდედავ,
შენ უტკბილესო დიდედა,
იაიებით შეგმოსეს
შენმა გულკრელმა ჩიტებმა.
თებერვლის იაიებით
შენი ჭალარა ბრწყინდება, —
შენი ღიმილი გვჭირდება,
შენი სიცოცხლე გვჭირდება!
მერე რა, თუკი საკოცნი
თმები წლებს შეუფიფქია!
ჯერ არც კი დაბადებულან
ჩემი ზაზა და ფიქრია, —
შენს ტკბილ-კალთასთან მენახონ
სამშობლო ქვეყნის შვილები
მათი ჭკვიანი თვალებით
ლაქვარდში გაფრენილები!

საბავშვო ლიტერატურის მსოფლიო მოახაზი

ქართული საბავშვო ლიტერატურის მოახაზი მწერალ ნინო ნაკაშიძეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა. რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ნინო ნაკაშიძე სიყვარულით თავს დასტრიალებდა ბავშვთა საყვარელ ჟურნალ „ნაკადულს“. ეს ჟურნალი მცირეწლოვანთათვის იყო განკუთვნილი და მისი პირველი ნომერი 1904 წელს გამოვიდა საზოგადო მოღვაწე ქალის მარიამ დემურის რედაქტორობით. ნინო ნაკაშიძე ამ ჟურნალის უახლოესი თანამშრომელი იყო. ხოლო 1910 წელს, როდესაც მარიამ დემურია გარდაიცვალა, ნინო ნაკაშიძე ჩაუდგა სათავეში ჟურნალის გამოცემის საქმეს.

ნინო ნაკაშიძის მეოხებით ჟურნალმა „ნაკადულმა“ თავის ირგვლივ შემოიკრიბა ქართული ლიტერატურის საუკეთესო ძალები. საბავშვო ჟურნალებში მწერალთა თანამშრომლობის საუკეთესო ტრადიცია ნინო ნაკაშიძემ კიდევ მეტის სიყვარულით გააღრმავა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

თავის სამწერლო მოღვაწეობის ხანგრძლივ პერიოდში მწერალმა ქალმა ჩვენი მოზარდი თაობისათვის შექმნა საუკეთესო მოთხრობები, პიესები, ზღაპრები და ნარკვევები, რომლებსაც სიყვარულით კითხულობენ პიონერები და მოსწავლეები.

ნინო იოსების-ასული ანთაძე-ნაკაშიძე დაიბადა 1872 წელს სოფელ ბახვში, გურიაში. შვიდი წლის იყო ნინო, ბიძამ რომ ანბანი შეასწავლა. 1880 წელს ნინო მიაბარეს ოზურგეთის ქალთა სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის კერძოდ ემზადებოდა.

1889 წელს ნინო თბილისის საბებიო ინსტიტუტში შევიდა. 1893 წელს სწავლა დაამთავრა და სამსახური დაიწყო ქუთაისში, ქალაქის საავადმყოფოში. 1897 წლიდან რამდენიმე წელს ნინო ნაკაშიძე ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც თავისი მეუღლის—საზოგადო მოღვაწის ილია ნაკაშიძის მეოხებით გაეცნო და დაუახლოვდა დიდ რუს მწერალს ლევ ტოლსტოის.

1902 წელს ჟურნალ „კვალში“ გამოქვეყნდა ნინო ნაკაშიძის პირველი ნაწარმოები. მწერალი შემდეგ სისტემატურად თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ათავსებდა მოთხრობებს გურიის გლეხობის ცხოვრებიდან. ამ მხრივ აღსანიშნავია მოთხრობები: „მოზა“, „ძიძა“, „დადეგი“ და სხვა. ამ მოთხრობებში მწერალი გვიხატავს

მაშინდელი გურული გლეხობის მიძიმე და აუტანელ ცხოვრებას.

1905 წელს გურიაში რევოლუციურ მოძრაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ ნინო ნაკაშიძე სპეციალურ კორესპონდენტად გავზავნა გურიაში. იმავე წლის ნოემბერში გურული რევოლუციონერი გლეხებისა და მეფის დამსჯელ რაზმებს შორის მოხდა შეტაკება ნასაქირალთან. დამსჯელმა რაზმებმა გადასწვეს სოფლები ნაგომარიდან ოზურგეთამდე. დაზარალებულ გლეხთა დამხმარე კომიტეტის წევრ-ხაზინადრად არჩეულ იქნა ნ. ნაკაშიძე.

1905 წლის რევოლუციურმა მოძრაობამ გურიაში შესაფერისი გამოხატულება ჰპოვა ნინო ნაკაშიძის შემოქმედებაში. მოთხრობები „ასპიროზის დახვრეტა“, „გურიის სოფელში“, „მოვალეობა“ და სხვები ამ მხრივ მკითხველთა ყურადღებას იპყრობენ.

ნინო ნაკაშიძე განსაკუთრებული სიყვარულით მანც საბავშვო ლიტერატურაში აგრძელებდა მუშაობას. მისი საბავშვო მოთხრობები: „საახალწლო საჩუქრები“, „წყლის პეპელა“, „არ გვიკადრა“, „არინკა“, „თბილისი“, „მეფე და მბეჭდავი“, „ულუ და თეთ“ და სხვა მრავალი ჩვენი მოზარდი თაობის საყვარელი ნაწარმოებებია. მათში მწერალი მკითხველს მოუთხრობს, როგორც შორეულ წარსულზე და ისტორიულ გმირებზე, ისე მეფობის დროინდელ ლაბრები ბავშვის გაუხარებელ ცხოვრებაზე. ხოლო მთელ რიგ ახალ მოთხრობებში მწერალი გვიხატავს სამამულო ომის დღეებში საბჭოთა ბავშვების მამაცობას, პიონერთა და მოსწავლეთა ყოველდღიურ ხალისიან საქმიანობას, სწავლას, მოგზაურობას მშობლიურ მხარეში, მოზარდთა შრომას კოლმეურნეობებში და სხვა.

საინტერესოა ნინო ნაკაშიძის საბავშვო პიესები: „კოტეს დანაშაული“, „ჯადოსნური წიკება“ და სხვა. ამ პიესებში მწერალი ეხება ბავშვთა საზოგადოებრივ ინტერესებს, მეგობრობას, კეთილი საქმისადმი ლტოლვას და სხვა...

მარტო აღნიშნულით როდი ამოიწურება ნინო ნაკაშიძის ამაგი მოზარდ მკითხველისადმი. მწერალმა ქალმა მდიდარი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან ამოკრიფა და გადაამუშავა ბავშვთათვის ხალხური ზღაპრები. აგრეთვე ქართულად სთარგმნა ნორჩ მკითხველთათვის რუსი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებები.



ქართველი
წიგნისწამყვანთა
კავშირი

უკანასკნელ ხანებში ნინო ნაკაშიძემ გა-
მოაქვეყნა საინტერესო მოგონებები ლ.
ტოლსტოიზე, ილ. ჭავჭავაძეზე, ირ. ველო-
შვილზე და სხვ.

მსცოვანი მწერლის ნინო ნაკაშიძის ხანგრ-
ძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას საბჭოთა
მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა და
მწერალი ქალი 1946 წელს „საპატიო ნიშ-
ნის“ ორდენით დააჯილდოვა. ნინო ნაკაშიძე
დაჯილდოებულია აგრეთვე მედლით —

„1941-1945 წლების სამამულო ომში მამაკა-
რი შრომისათვის“.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, მწერალი
ნინო ნაკაშიძე კვლავ სიყვარულით განაგრ-
ძობს შემოქმედებით მუშაობას. მისგან ისევ
სიხარულით მოელიან კარგ ნაწარმოებებს
ნორჩი მკითხველები—პიონერები და მოს-
წავლეები.

ლავით შაბათაძე

დაზგებს

დაფხარი



ერთი პატარა ბიჭი ვარ,
დავტოვე მთა და სოფელი,
დაზგების გრიალს დაფხარი
გუშინ ჯეჯილში მყოფელი.

მოველ, თან მომყვა მთებიდან
მეგობრად ლალი ფიქრები:
აქ გავიზრდები, სამშობლოს
აღმშენებელი ვიქნები.

არ დაიღლება არასდროს
ჩემი მართალი მარჯვენა,
შრომამ მრავალი სიკეთე
და სიხარული მაჩვენა.

დიად მომავალს შევხარი,
ლალობენ ჩემი ფიქრები,
აქ გავიზრდები და ქვეყნის
აღმშენებელი ვიქნები.

შრომის გუგუნი გრგვინავდეს,
ოფლი მდიოდეს ალალი,
რომ უფრო ნათლად ბრწყინავდეს
ჩემი სამშობლოს ალაში!

ანდროთიკვაძე





მოთხრობა

— ქვეყანა ჩემს ნატოზე ლაპარაკობს, შენ კი ერთხელაც არ მოვიგმენია. როგორი ნათესავი ხარ, ვერ გავრგე. მოსაწვევ ბარათს ხომ არ გამოგიგზავნი, 'მე კაი კაცო?' საქმეებიო? სუ! სუ!.. უსაქმო არავინაა... ჩვენც ვმსახურობთ, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოვიცალოთ ერთმანეთისთვის... გიორგისაც ძალიან წყინს, რომ ერთხელაც არ შემოიარე...

ასეთი საყვედურებით ხშირად მომმართავდა ანიკო. მე კი, ვერ იქნა და ვერა, ერთხელაც ვერ მოვიცალო ნატოს სახახავად. ნატოს ქება კი ხშირად მსმენია. გაზეთებშიც წამიკითხავს: იშვიათი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული ბავშვიაო.

ანიკოს საყვედურები სამართლიანი იყო და გადავწყვიტე მენახა ნატო. სხვა რომ არა იყოს რა, ნატოს მამა, გიორგი, ჩემი ახლობელი იყო და ხანგრძლივი გარედგომა შეიძლება სხვანაირადაც მიეღო.

ჰო და, ერთ კვირა დღეს, როცა შემოდგომის მზიანი და თბილი დღე ყვითელ ფარჩასავით ელვარებდა ქუჩებში, ვესტუმრე ნატოს მშობლებს.

გამოვიცდით, ალბათ, დიდი ხნის უნახავო ოჯახში მისვლისას პირველი წუთები. თითქოს გუშინ იყავით აქ და იმავე დროს ყველაფერი ახლებურად გეჩვენებათ. მაგრამ გაივლის პირველი წუთები, კვლავ მიმოიხედავთ გარშემო და ამჩნევთ, რომ ყველაფერი თავის ადგილასაა, არაფერს შეუცვლია ნიერი და ჩხირი.

ასე იყო იმ დღესაც. არაფერი შეცვლილიყო გიორგისას. ისევე ისე ეკიდნენ კედელზე ჩაფიქრებული რუსთაველის, სხივიანი აკაკისა და მოწყენილი ნინოშვილის პორტრეტები. ისევ ისე იდგა კუთხეში პიანინო, ზედ

ყვავილებიანი ვაზა და დასტა-დასტა ნოტები. ისევ ისე გაჯგიმულიყო კედელთან ბუფეტის დიდი შკაფი და გრძელ სასადილო მაგიდას მზიარული ციალით დაჰყურებდა ბრჭყვიალა ჭალი.

არ შეცვლილიყვნენ ანიკო და გიორგიც. ისევ ისე ტელეფონს უჯდა გიორგი და ეკითხებოდა ხან კომენდანტს, ხან მორიგეს რა ამბავიაო ქარხანაში. ისევ ისე ფუსფუსებდა და ტრიალებდა ოთახიდან ოთახში ანიკო. ოღონდ ნატო გაზრდილიყო. ორი წელი არ მენახა ბავშვი და ამ ორი წლის განმავლობაში ტანი აეყარა, აშოლტილიყო. ნატოს დინჯად ეჭირა თავი და ჩაფიქრებული სახე ჰქონდა.

ოთახებში ის მყუდროება იდგა, რომელიც ერთბაშევიან ოჯახებს ახასიათებს ხოლმე: არც თუ მოსაწყენი, არც თუ მეტისმეტად გამოზომილი და ცივი.

პირველი მოკითხვისა და ერთმანეთის ავანჩავანის გამოკითხვის შემდეგ, ჩვენი საუბრის საგანი, რასაკვირველია, ნატო და მუსიკა შეიქნა. გავისხენეთ ის მუსიკოსები, რომელთაც ადრე გამოიჩინეს მუსიკალური ნიჭი.

— ჩემი გოგონა? ოო, ნიჭიერია, მაგას ენაცვალოს დედა! — აღტაცებით წამოიძახა ანიკომ. — ისეთ რამეებს უკრავს, რომ გაგიკვირდებათ. ბახი, ლისტო, შოპენი, ჩაიკოვსკი, ბეთჰოვენი სულ იცის. ენაცვალოს დედა!... საკმარისია რადიოში მოუსმინოს ჩვენს მსახიობებს, მაშინვე გეტყვის ვინ მღერის და რას. მღერის... აბა, დაუკარი ჭირიმე!.. ნატო გაინახა. უარზე დადგა.

— დაუკარი, შვილო! ბიძიას არ მოუხსმენია შენი დაკვრა, — უთხრა მამამ მტკიცედ. ნატოს ფერმკრთალ ლოყებზე სინათლე შე-



ეპარა. უკმაყოფილოდ ადგა, მიუჯდა პიანინოს, თითებით მოსინჯა კლავიშები, რომელიც ნოტი გადაშალა და დაიწყო.

გაგიგონიათ ან გინახავთ როგორ მოდის თქვენი ზაფხულში?

ჯერ მოისმის შორეული, ყრუ, სუსტი ხმაური. სადღაც, შორს, ცის დასალიერს ჩამოწვა ღრუბელი და დაწვა ტყეს. ყრუანტელმა დაუარა ტყეს და ამრიალდა, არც თუ ამოიხრა, არც თუ დაიგმინა. წამოუბერა ქარმა და ტყის ქოჩორზე გამოინავარდა. ცისა და მიწის შორის გაბმულმა წვიმამ ფეხი აიდგა, ჯერ ტატიტ წამოვიდა, შემდეგ ტყეს მოშორდა, გაიმინდვრა, დაიქუხა, დაიგრიალა და ზარით და ზათქით შემოიჭრა სოფელში. დაიგრიალეს სახურავებმა, დაიქურიალეს მინებმა, დაიზუზუნეს ხეებმა. ქუჩასა და ეზოებში ცელქი სირბილით შემოიჭრნენ რუები.

წვიმს კოკისპირულად.

მალე ღრუბლები შეთხელდა... ცას ნათელი შეეპარა...

გამოიღარა. თავი ასწიეს ყვავილებმა. ტანდაბანილმა ხეებმა ფართოდ გაშალეს ტოტები და გაეხვიენ მზის სხივებში. ტყემ ამოისუნთქა მხიარული შრიალით და გაიღიმა მიწამ. ყველაფერი იცინის, ყველაფერი ხარობს. და შენც გინდა გაიცინო და შეჭხაროდე მზეს...

ასეთი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ნატოს დაკვრამ. ახლაც არ ვიცი, ვისი იყო მუსიკა, მაგრამ ის რომ სიცოცხლის დადასის იყო, ეს ჩემთვის ცხადი იყო. და ნატოც შესანიშნავად გადმოსცემდა ავტორის განზრახ-

ვას, ბავშვი მართლაც რომ ბედნიერი იყო დაჯილდოებული.

ნატომ დაკვრა რომ გაათავა, მომაჩერდნენ: რას იტყვისო?

ბავშვის თანდასწრებით ქება უხერხულად მივიჩნიე და ნატოს ვთხოვე, წყალი მასვი მეთქი. ნატო მარდად წამოდგა და სამზარეულოსკენ გაიქცა. სანამ ნატო დაბრუნდებოდა, მე ჩემი აღტაცება გავუზიარე მშობლებს — გულწრფელი, მეგობრული აღტაცება. ამასობაში ნატოც გამოჩნდა და წყლით სავსე ჭიქა მომაწოდა. მომაწოდა და სახტად კი დავრჩი: ჭიქა ულამაზაოდ იყო. გიორგიმ შემატყუო გაკვირვება და მიუბრუნდა ნატოს:

— გოგო, ლამაზაქზე რატომ არ დადგი ჭიქა?

— ლამაზიდან ხომ არ დაღევს? — გაიღიმა ნატომ.

გიორგი გაწითლდა. უხერხულობის თავიდან ასაცილებლად მე სწრაფად გამოვართვი ჭიქა ნატოს და დავლიე წყალი. ჭიქა მაგიდაზე დადგი, რადგან ნატო წამსვე მიტრიალდა.

ლამაზაქის ამბავმა იჭვი აღმიძრა: მართლა ნატომ მოუფიქრებლობის შედეგად მომაწოდა ულამაზაოდ ჭიქა, თუ პიონერი გოგონა მართლა ვერ ერკვეოდა ზრდილობისა და ყოფა-ცხოვრების უბრალო საკითხებში! გადავწყვიტე ნატოს გამოცდა. საუბარი სამსახურის საქმეებზე ჩამოვუგდე გიორგის.

— ნუ იკითხავ, ნუ იკითხავ! — იფეთქა ანიკომ, — დღე და ღამე თავის ქარხანაშია გიორგი. დღეს რომ აქ ხედავ, შენ უნდა ვი-



მადლოდე. იცოდა, რომ მოხვიდოდი, თორემ აქ გააჩერებდი?

— არც შენ ხარ მაინც და მაინც შინ, — გაიცინა გიორგიმ.

— ყოველ შემთხვევაში, მე სადამოობით მაინც შინ ვარ! — მიუგო ანიკომ.

— აბა, აბა, სტუმარს რაში აინტერესებს, ჩვენ როდის-ვართ შინ და როდის არა, — ალერსიანად გაიღიმა გიორგიმ, — შენ ის გვეთხარი, რითი გაგვახარებ ახლა? რით გაგვიმასპინძლები?

— უი, მართლა! — და ანიკო წამოხტა, სამზარეულოსკენ გასწია. გიორგიმ კი თავისი ქარხნის ამბები გადმოიშალა. შევყევით ამბებს. ჩემი გადაწყვეტილება კი არ ძავიწყდებოდა: ნატოს გამოცდა. ვხედავდი, ნატო დერფანში იჯდა და წიგნს კითხულობდა.

— ნატო! — დავეუძახე უცბად.

— აუ! — მიპასუხა ნატომ.

ეს „აუ!“ ეკალივით მომხვდა გულში, მაგრამ არ შევიძინე და ვკითხე:

— რა წიგნს კითხულობ?

წიგნში ბეთჰოვენის ცხოვრება და მოღვაწეობა იყო აღწერილი. ახლა ნატოს გავესაუბრე. გიორგი კი სამზარეულოში გავიდა.

აღმოჩნდა, რომ ნატო ფრიადოსანი პიონერი ყოფილა, რომ ნატოსთან ხშირად დადიან მისი ამხანაგები და ნატოც ეხმარება მათ გავითილებს დამზადებაში.

— გაქვს შენი კუთხე? — ვკითხე ნატოს.


— ოთახი მაქვს ჩემი, — მიპასუხა მან.

— აბა, მაჩვენე!

ნატო გამიძღვა წინ. ოთახის კარი გააღო და შევიდა ოთახში. მე არ შევესულეარ შიგ, რადგან ერთი თვალის გადავლებაც საკმარისი იყო იმის გასაგებად, თუ რა მინდოდა მე.

დაკმუჭნილი ბალიში, გადაწეული საბანი, საწოლზე დაგდებული ჩულქები საკმაროდ მოწმობდნენ იმას, თუ როგორ ეპყრობოდა თავის ლოჯინს და ოთახს მისი პატრონი.

— დღეს კვირაა, ბატონო! მოსამსახურე ისვენებს და არაა დალაგებული, უკაცრავად!



— მომესმა ზურგს უკან ანიკოს ბოლიში. — მობრძანდით სუფრაზე!

მივუსხედით სუფრას. ეტყობოდა, ანიკომ განგებ წამომიყვანა, რადგან სუფრა ჯერ კიდევ არ იყო გაშლილი.

— დაეხმარე დედას, გაშალეთ სუფრა! — უთხრა გიორგიმ შვილს.

ნატო ზანტად გაემართა სამზარეულოში. მე გაფაციცებით ვაღრუხებდი თვალს, თუ როგორ ეხმარებოდა გოგონა დედას.

— ჩამოალაგე თეფშები, კოვზები, დანა-ჩანგალი, — მომესმა ანიკოს ხმა.

ნატომ უთავბოლოდ ჩამოალაგა ყველაფერი. კოვზები ზედ თეფშებზე დასდო, დანა-ჩანგალი ალაგ თეფშზე, ალაგ თეფშის წინ. ეტყობოდა, ბეთჰოვენისა და ჩაიკოვსკის მცოდნე პიონერმა სუფრის გაშლა არ იცოდა.

გულდაწყვეტილი დავბრუნდი შინ. ყურში ჩამრჩა საუცხოო მუსიკის წარმტაცი ჰანგები, ზოლო თვალწინ მედგა ულამბაქო ჭიქა, უწესრიგოდ გაშლილი სუფრა და აფორიაქებული ოთახი. ხშირად იმ საუცხოო მუსიკაშიც უხეშად შემოიჭრებოდა:

— „აუ! აუ!“



პიონერული რაზმების შესახებ

იონერული რაზმების სპორტიული და კოლექტიური, რომელიც აერთიანებს სკოლის, საბავშვო, სახლის და პიონერული ბანების ყველა რაზმს.

რაზმების შექმნა ტარდება სამ თვეში ერთხელ და იგი პირდაპირად ღირს დღესასწაულს სკოლის პიონერთა ორგანიზაციის ცხოვრებაში.

პიონერული რაზმები ატარებს შეკრებებს, მიძღვნილი რეკონსტრუქციის დღესასწაულსადმი, პიონერული ბანების მოსწავლეების მიღობის და ასევე შეკრებადათავსებულნი რაზმების შეკრების მომზადება-ჩატარება ვაკუუმით მტკ დროს და ენერჯის მოთხოვნა, ვიდრე რაზმის შეკრების მომზადება-ჩატარება. რაზმების შეკრების მომზადება იწყება ისევე, როგორც რაზმის შეკრების მომზადება, მხოლოდ ამ განსხვავებით, რომ რაზმების საბჭო შეკრების მომზადებისათვის დათვლილი ანაწილებს რაზმებს, ასე, მაგალითად, ქუთაისის მე-2 პიონერულმა რაზმებმა გადასწყვიტა რაზმების შეკრება ჩაატაროს 1948 წლის 23 თებერვალს თებზე, სამბუთა არმია დიდ სამამულო ომში.

რაზმების საბჭო აღნიშნულ შეკრების მომზადებისათვის მიუცემს ცალკეულ დავალებებს რაზმებს პირველ რაზმს დაავალებს — დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიის გმირული გმირობის და გამარჯვებების ამსახველი გმირების მოწივას. მეორე რაზმს — საბჭოთა არმიისათვის გმირული აღბობის დამხატვას, მესამე რაზმს — საბჭოთა გმირების ცალკეული გმირული ეპიზოდების შესწავლას და რაზმების შეკრებაზე მოყვას, მეოთხე რაზმს — შეკრების ადგილის გადორიებას, მეხუთე რაზმს — საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილ ლექსების შესწავლას, რაზმების პრინციპალთა მიერ დაავალეს საბჭოთა არმიისადმი მიძღვნილ სიმღერების შესწავლას და ა. შ.

რაზმები რაზმების საბჭოსაგან გარკვეულ დავალების მიღების შემდეგ, თავის საბჭოს სტრუქტურა რეკონსტრუქციის კონკრეტულ დავალებებს და მასწავლებელთა დახმარებით იწყებენ რაზმების შეკრებულათვის სამუშაოს.


რაზმების საბჭომ დავალებების განაწილებს დროს ატყობილად უნდა გაითვალისწინოს ჩაბნ შესრულების შესაძლებლობა ანუ რაზმს და უნდა მიაღწიოს იმას, რომ

აღნიშნულ შეკრების მომზადებასთან დაკავშირებით, რეკონსტრუქციის გეგმები სწავლობდნენ: საბჭოთა არმიის პიონერული ბრიგადების ცალკეულ ეპიზოდებს, ნახელო ბუნებრივ-თეატრებში დიდ სამამულო ომში საბჭოთა გმირობის გმირების ამსახველ სურათებს, ესტრატეგიაში სამამულო ომის მომზადებებს, ცხოვრობდნენ სამამულო ომის თემაზე დაწერილ მხატვრულ ლიტერატურას და სხვ.

აღნიშნულ დროს რაზმების შეკრება, ისევე როგორც რაზმის შეკრება, იხსნება ხაზზე, მხოლოდ უკვე შემდეგი წესით: მიაქვება ერთხელ სტეპა პირველ რაზმს (რეკონსტრუქციის), შემდეგ მეორე, მესამე და ასე შემდეგ. რაზმებს ერთი ან ორი ნახევარი წუთს თავიანთი რეკონსტრუქციის რეკონსტრუქციის, ხოლო უფრო წინ თავიანთ რაზმებს მეორე სტეპიან რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები.

საქმიო დაპირებით, პირთ რაზმებისაგან, სტეპს რაზმების საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო იქვე ახლოს უფროსი პიონერ-ხელმძღვანელი.

რაზმების ხაზი ეწყობა დაახლოებით ასე:




თუ ადგილი, სადაც ეწყობა რაზმების ხაზი, ვერ იტევს ერთ შეკრებად გახლეჩილ რაზმებს, მაშინ რაზმული ეწყობა ორ შეკრებად. რაზმის ხელმძღვანელები შეკრებას იწყებენ, მაგრამ რაზმების ხაზზე არ სტეპიან.

რაზმების ხაზზე მოწყობის შემდეგ, რაზმების საბჭოს თავმჯდომარე იძლევა განკარგულებას — რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები მიეზღვიან პატრულისათვის — რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები იხარებენ იხარებენ პატრულს თავიანთ რაზმში შემხვენი რეკონსტრუქციის შედეგად და ეხმარებიან პატრულისათვის.

პირველი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ჩაატარებს პატრულს — იძლევა განკარგულებას რაზმების საბჭოს თავმჯდომარე უახლოეს რაზმების საბჭოს თავმჯდომარეებს, იღებს სალამს და აბარებს პატრულს.

პატრულის შინაარსი ასეთია: ამახანაგი რაზმების საბჭოს თავმჯდომარე, პირველ რაზმს ირჩებენ 40 პიონერ, მეორე რაზმს ირჩებენ 39, რაზმში მზადა შეკრებისათვის.

როდესაც რაზმების საბჭოს თავმჯდომარე ჩაბარებს პატრულს ყველა რაზმის საბჭოს



თავმჯდომარეებიდან, იძლევა საბჭოს განკარგულებას: რაზმების შეკრების შედეგად და აბარებს პატრულს რაზმის ხაზზე ვანდეს.

პატრულის შინაარსი ასეთია: 40-ქალე ქეთაისის მეხუთე პიონერული რაზმის მუცლის ირჩებენ 40 პიონერ, პირველ რაზმს ირჩებენ 39, რაზმში მზადა შეკრებისათვის.

პატრული ჩაბარებს პატრულს რაზმის პიონერ-ხელმძღვანელებს: იგი რაზმების ნაბიჯით მიდის წინ და მიმართავს პიონერებს: აღნიშნული რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები იყვითლებენ — რაზმის ხაზი! ამის შემდეგ უფროსი პიონერ-ხელმძღვანელი იძლევა განკარგულებას:

რაზმების საბჭოს დროს რაზმების ხაზზე მოწყობის შემდეგ, რაზმების საბჭოს თავმჯდომარე იძლევა განკარგულებას — რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები მიეზღვიან პატრულს თავიანთ რაზმში შემხვენი რეკონსტრუქციის შედეგად და ეხმარებიან პატრულისათვის.

პირველი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ჩაატარებს პატრულს — იძლევა განკარგულებას რაზმების საბჭოს თავმჯდომარე უახლოეს რაზმების საბჭოს თავმჯდომარეებს, იღებს სალამს და აბარებს პატრულს.

პატრულის შინაარსი ასეთია: ამახანაგი რაზმების საბჭოს თავმჯდომარე, პირველ რაზმს ირჩებენ 40 პიონერ, მეორე რაზმს ირჩებენ 39, რაზმში მზადა შეკრებისათვის.

როდესაც რაზმების საბჭოს თავმჯდომარე ჩაბარებს პატრულს ყველა რაზმის საბჭოს

რაზმების საბჭოს თავმჯდომარეები მიეზღვიან პატრულს რაზმის პიონერ-ხელმძღვანელებს: იგი რაზმების ნაბიჯით მიდის წინ და მიმართავს პიონერებს: აღნიშნული რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები იყვითლებენ — რაზმის ხაზი! ამის შემდეგ უფროსი პიონერ-ხელმძღვანელი იძლევა განკარგულებას:

რაზმების საბჭოს დროს რაზმების ხაზზე მოწყობის შემდეგ, რაზმების საბჭოს თავმჯდომარე იძლევა განკარგულებას — რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები მიეზღვიან პატრულს თავიანთ რაზმში შემხვენი რეკონსტრუქციის შედეგად და ეხმარებიან პატრულისათვის.

პირველი რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ჩაატარებს პატრულს — იძლევა განკარგულებას რაზმების საბჭოს თავმჯდომარე უახლოეს რაზმების საბჭოს თავმჯდომარეებს, იღებს სალამს და აბარებს პატრულს.

პატრულის შინაარსი ასეთია: ამახანაგი რაზმების საბჭოს თავმჯდომარე, პირველ რაზმს ირჩებენ 40 პიონერ, მეორე რაზმს ირჩებენ 39, რაზმში მზადა შეკრებისათვის.



შეკრებებსა. ასეთ შეკრებაზე ბავშვები თავიანთ მშობლიურ ენაზე უნდა იძლეოდნენ პატაკებს, გამოდიოდნენ სიტყვებით, ლექსებით, სიმღერებით და ასე შემდეგ.

რაზმეული თავის შეკრებაზე პიონერორგანიზაციაში მისაღებ ბავშვებიდან იღებს საზეიმო დაპირებას.

ბავშვების მიღება პიონერთა ორგანიზაციაში იწყება რაზმიდან, სადაც ბავშვი თავის სურვილს პიონერთა ორგანიზაციაში გაერთიანების შესახებ უტყვადებს რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს ან რაზმის ხელმძღვანელს. რაზმის საბჭო პიონერთა ორგანიზაციაში ახლად მისაღებ მოსწავლეს აცნობს პიონერთა ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს, პიონერთა საზეიმო დაპირებას, პიონერთა სიმბოლიკას, აბაშს მას რაზმის მუშაობაში და აძლევს ცალკეულ დავალებებს.

როდესაც ბავშვი უკვე გაეცნობა პიონერთა სიმბოლიკას და საზეიმო დაპირების ტექსტს, პიონერთა ორგანიზაციაში მისი მიღების საკითხი ღია კენჭის ყრით გადაწყდება რაზმის შეკრებაზე, იგი ჩაირიცხება ერთ-ერთ რგოლში და ემზადება რაზმეულის შეკრებაზე საზეიმო დაპირების მიცემისათვის, შეკრებამდე რამდენიმე დღით ადრე პირადად გადასწერს სუფთა ქაღალდზე საზეიმო დაპირებას და დაამზადებს რაზმეულის შეკრებისათვის.

რაზმეულის შეკრებაზე მოსწავლეები, რომლებიც იძლევიან საზეიმო დაპირებას, დგებიან ერთ მწყრივად რაზმეულის წინ (პირით რაზმეულისაკენ). უფროსი პიონერხელმძღვანელი იძლევა განკარგულებას „რაზმეულო, დროშის ქვეშ, სმენა!“

უფროსი პიონერხელმძღვანელი კითხულობს ახლად მისაღებ ბავშვთა ვარებს, რის შემდეგაც კვლავ იძლევა განკარგულებას:

„საზეიმო დაპირების მისაღებად მოემზადეთ!“

ამის შემდეგ უფროსი პიონერხელმძღვანელი, პარტიულ ან კომკავშირულ ორგანიზაციის წარმომადგენელი ხმამაღლა კითხულობს პიონერთა საზეიმო დაპირების ტექსტს.

საზეიმო დაპირების ტექსტი ასეთია:

„მე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების წინაშე დაპირებას ვიძლევი, რომ მედგრად ვიბრძოლებ ლენინ-სტალინის საქ-

მისათვის, კომუნისტის გამარჯვებისათვის გპირდებით, ვიცხოვრო და ვისწავლო, რომ გავხდე ჩემი სოციალისტური სამშობლოს ღირსეული მოქალაქე“.

ახლად მისაღები ბავშვები კოლექტიურად იმეორებენ საზეიმო დაპირების ტექსტის სიტყვებს, შემდეგ თვითეული ხელს აწერს მის მიერ გადაწერილ საზეიმო დაპირების ტექსტს და აბარებს უფროს პიონერხელმძღვანელს (ან პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციის წარმომადგენელს).

უფროსი პიონერხელმძღვანელი ხელმოწერილი ტექსტის მიღებისთანავე უკეთებს ახლად მიღებულ ბავშვს წითელ ყელსახვევს, აბარებს პიონერულ ნიშანს „მზად ვარ“ და მიმართავს დევიზით: „ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავი მზად!“ ბავშვი პირველად იღებს პიონერულ სალაშს და პასუხობს: „მზად ვარ!“ ამის შემდეგ ას სდგება რაზმეულის მწყობრის მარცხენა ფრთაზე და აქვს უკვე უფლება ატაროს პიონერული ყელსახვევი, პიონერული ნიშანი „მზად ვარ“ და უპასუხოს პიონერულ დევიზზე.

პიონერული რაზმეული, გარდა ასეთი შეკრებებისა, ატარებს შეკრება-დათვალიერებებს. ასეთ შეკრებების დროს ეწყობა რაზმებს შორის მხატვრული თვითშემოქმედებს დათვალიერება — სამხედრო-ფიზკულტურული შეჯიბრება რაზმებს შორის, ეწყობა პიონერების მიერ ტექნიკის, სახვითი ხელოვნების დარგში ნამუშევრების, კედლის გაზეთების და სხვათა გამოფენა.

რაზმეულის შეკრებაზე ისე, როგორც რაზმის შეკრებებზე, ბავშვები გამოდიან თავიანთი თვითშემოქმედებით.

რაზმეულის შეკრება არ უნდა გაგრძელდეს 1½-2 საათზე მეტს. რაზმეულის შეკრების დამთავრებისას უფროსი პიონერხელმძღვანელი ორ-სამ წუთიან საუბრით შეაჯამებს რაზმეულის შეკრების შედეგებს და რაზმეული კვლავ ხაზზე მოეწყობა.

უფროსი პიონერხელმძღვანელი ვაცემს განკარგულებას: „რაზმეულო, სწორება დროშისაკენ!“

მედროშეს ორი ასისტენტის თანხლებით გააქვს დროშა და რაზმეულის შეკრება ამით მთავრდება.

ყოველ რაზმეულის შეკრების დამთავრებისას იწერება დღიური.

ოთარ ნემსაძე





მულოდი იგორი

უკრაინელი პარტიზანი პიონერის ნამუბობი.

მალე გახდა ორივე
ყველასათვის ცნობილი.

I

ერთხელ ჩვენმა იგორმა
ჩვენი სოფლის ბაზართან
ლეკვი ნახა პატარა,
წაიყვანა, გაზარდა.
იყო მისი დამჯერი,
მისი სიტყვის გამგონე.
დიდი გახდა ყურშია,
ჰქონდა ვეფხვის ძალ-ლონე;
მოივლიდნენ შინდორ-ველს,
კურდღლებს სდევდნენ ყიჟინით,
დაძმობილდნენ და მუდამ
ერთად იყვნენ ისინი.

2.

უცებ ომის ღრუბლებმა
ცა დაფარეს შავადა.
მერე სოფლის ახლოსაც
დიდი ცეცხლი ავარდა.
მაშინ სოფლად გლეხებმა
დასდეს ფიცი ურყევო:
— „ჩვენ არ გვინდა მონობა,
ჩვენ არ გვინდა უღელი.
სტალინისთვის ვიბრძობოთ,
ძმებო, თავგანწირულად,
ან სამშობლო დავეხსნათ,
ანდა მოვკვდეთ გმირულად“.
მიატოვეს, ჩაჰკეტეს
ყველა სახლის კარები.
უღრან ტყეში დაიდგეს
შეფოთილი კარვები.
და იგორის მამა რაზმს
სათავეში ჩაუდგა.
პარტიზანთა გმირობა
მალე შორს გახმაურდა.
მათთან იყო იგორიც
მისი კარგი ძმობილით.

ერთხელ საღამოსას,
როცა კარგად დაბინდა,
იგორი და ყურშია
პარტიზანთა შტაბიდან
გზაწვრილს გაჰყენენ სოფლისკენ,
ძლივს მოსჩანდა გზაწვრილი.
მიდიოდნენ უშიშრად
ყურშია და ყმაწვილი.

გერმანელებს ბანაკი
ჰქონდათ ტყეში გაშლილი.
ტყვია-წამლით, თოფებით
და სურსათით გავსილი.
ირგვლივ ეკალ-მავთულით
იყო შემოხლართული.

მიდიოდა იგორი,
შინ ბაბუა ელოდა.
ოთხმოცი წლის ბაბუაც
პარტიზანებს შველოდა.
და იგორი უშიშრად
ახლა მიტომ მიჰქროდა,
მამის დანაბარები
ბაბუასთან მიჰქონდა.

არ ეძინა ბაბუას,
მარტო იჯდა ბუხართან,
იგორს ხელებგაშლილი
შეხვდა და გაუხარდა.
მერე ცეცხლთან ჩამოსხდნენ
და დასწერეს მაშინვე:


— „ბორცვთან დახვდით, სიმრავლით
მტერი ნუ შეგაშინებთ.
სამი დიდი მანქანა
ტყვია-წამლით, თოფებით

ისევ შტაბში დაბრუნდნენ
პარტიზანებს მრავალი
დარჩათ თოფ-იარაღი,
დარჩათ ტყვია-წამალი.

5.

დილით ისევ ყურშია
სოფლისაკენ დაბრუნდა,
საყვარელი იგორი
მიელოდა ბაბუსთან.
და ჰა, ჩვენი ყურშია
სოფელს მიუახლოვდა,
მაგრამ უცებ ტყის პირას,
ერთ პატარა მაღლობთან
დაინახა: იგორი
ფრიცს მიუძღვის თავდახრით,
ფრიცი ხან თოფს უღერებს,
ხან რაღაცას ვასძახის.
შედგა წამით ყურშია,
ისევ ძმობილს გაჰხედა.
იგორი რაღაც ხიფათი,
აენთო და გახელდა.
მოსწყდა ადვილს, გაქანდა,
ფრიცს შეახტა, შეება,
ჩააფრინდა კბილებით,
შეკრთა ფრიცი, ვეება.
შეკრთა ფრიცი, დაიშნა,
ტყვივლს გრძნობდა საშინელს.
მოიხედა იგორმა,
გონს მოვიდა მამინვე,
დიდ ქვას ხელი დასტაცა,
შუბლში თხლიშა გარეწარს.
ფრიცი დარეტიანდა,
ძირს უგონოდ დაეცა.

ამ დროს, თურმე, ბაბუაც
ტყიდან უთვალთვალებდა,
გამოიჭრა და ფრიცი
სანამდე სულს დაღევედა,
მკერდი დანით გაუჭო
ათას ცოდო-ბრაღიანს,
მალე ფრიცმაც უღონომ
იქვე სული დალია.
მამინ დაცხრა ყურშია,
დაუშვიდდა თვალები,
გადახედა მეგობარს
რიდით და მოკრძალებით.
ფრიცს ბაბუმ და იგორმა
იარაღი აჰყარეს...
პარტიზანებს საღამოს
გამარჯვება ახარეს.
პარტიზანთა ატამანს
ტყავის ჩანთა მიართვეს...
იქვე იჯდა ყურშია,
ნაცნობ ადამიანთა
ახარებდა ალერსი,
წყმუტუნებდა ხალისით.



ქალაქს მიემართება...
ჩვენ კვლავ აქ ვიმყოფებით“.
და იგორმა ქალაღი
დაახვია პატარა,
ყელს შეაბა ყურშიას
თოკით და გაატანა.
შარას გაჰყვა ყურშია,
ბუჩქებს გაჰყვა ფარულად,
ტყე-ტყე ასე სოფლიდან
ბევრჯერ გადაპარულა.
იცის, საით მიილტვის,
იცის გზა და გზაწვრილი.
მიჰქრის, მიჰქრის ყურშია, —
სოფლად ფხიზლობს ყმაწვილი.

4.

შტაბში მისულ ყურშიას
ყელზე შეხსნეს წერილი.
დილით პარტიზანები
ბორცვთან წამოფრენილნი
მტერს დახვდნენ და შეჰკრეს გზა
ბორცვზე გადასასვლელი.
ავტოები მტრებისა,
ტყვია-წამლით სავესენი,
ხელში იგდეს... ისეთი
ცეცხლი გახსნეს ბიჭებმა,
ველარ შეძლეს ფრიცებმა
ბორცვზე გადაბიჯება.



6.

გახსნეს ჩანთა, იპოვეს
საიდუმლო ბარათი:
— „ბატონო იენერალო,
თქვენი მონა მარადის
შიკრიკს ვგზავნი, გაცნობებთ
საქმე საშიშარია,
ყოველ ფეხის ნაბიჯზე
ბანდიტები არიან.
სულ სამასი კაცი მყავს
და თუ ასე გაგრძელდა...
დაგვეხმარეთ როგორმე,
თორემ საქმე გაძნელდა.
მარად მონად მიგვყოფთ.
მაიორი მიუღერ“.

გერმანელებს ბანაკი
ჰქონდათ ტყეში გაშლილი,
ტყვია-წამლით, თოფებით
და სურსათით გაესილი.
ირველივე ეკალ-მავთულით
იყო შემოხლართული.
ახლა პარტიზანებმა
უკვე კარგად იციან,

რომ ბანაკის დამცველად
სულ სამასი ფრიცია.
შუალამით, უეცრად,
სამჯერ მეტი რაზმელი
ფრიცებს ირველივ მოერტყნენ,
დასცეს ხმა ამაზრზენი.
შიგ შეიჭრენ ქუხილით,
დიდი ბრძოლა გაჩაღდა,
სულ მთლად გაანადგურეს
ბრბო გერმანელ ყაჩაღთა.

7.

ომში ასე იბრძოდნენ
გმირი პარტიზანები,
ტყეში იყვნენ, ესმოდათ
რეკა კრემლის ზარების.
მათთან იდგნენ მხარდამხარ
ნორჩი პიონერებიც,
სამშობლოსთვის იბრძოდნენ
როგორც არმიელები.
ორი კარგი მზვერავი,
ორი კარგი ძმობილი
იგორი და ყურშია
გახლა ყველგან ცნობილი.





გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის-ძე ლესელიძე საბჭოთა არმიის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო. დიდ სამამულო ომში მისმა ჯარის ნაწილებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს მოსკოვისა და კავკასიის დაცვაში. გენერალ ლესელიძემ თავი ისახელა აგრეთვე როგორც შესანიშნავმა საბჭოთა მხედართუფროსმა ყუბანისა და უკრაინის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროს.

გენერალ ლესელიძის სახელი არა ერთხელ იყო მოხსენებული უმაღლესი მთავარსარდლის დიდი სტალინის ბრძანებებში.

სამამულო ომში გენერალი ლესელიძე მეთაურობდა ჯერ კორპუსს და შემდეგ არმიას.

გენერალი ლესელიძე გარდაიცვალა 1944 წლის 21 თებერვალს.

საქართველოს სახელგანთქანი შვილის — გენერალ ლესელიძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს ხალხში. მის სახელს ატარებს სოფლები და ქუჩები, თეატრები და კოლ-

მეურნეობები, კლუბები და პიონერთა რაზმები.

როგორი იყო გენერალ ლესელიძის ბავშვობა და ყრმობა?

იგი დაიბადა 1903 წელს, მახარაძის (ყოფ. ოზურგეთის) რაიონის სოფელ ხვარბეთში. მშობლები ძალზე ხელეწიროდ ცხოვრობდნენ. ისე, როგორც სხვა ხვარბეთელი გლეხე-

ბი, ლესელიძეები მიწის ნაკლებობით იტანჯებოდნენ...

ნიკოლოზ ლესელიძეს სამი ვაჟი ჰყავდა: დავითი, კოტე და ვიქტორი.

კოტე მკვირცხლი, ცოდნისმოყვარე ბავშვი იყო, საზრიანი და გამომგონებელი საბავშვო გართობა-თამაშობაში. სამი წლის პასაკში მას უკვე აინტერესებდა: „რატომ დაფრინავენ ფრინველები“, ან „რატომ არის დღე და ღამე“, „რატომ მუდამ არ ანათებს მზე“ და ასე შემდეგ.

პატარა კოტეს მოსაზრებულობაზე ლესელიძეთა ოჯახში მოიგონებენ ხოლმე ასეთ ფაქტს: როდესაც კოტეს მამა რევოლუციურ



გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ბიუსტი თბილისში.

ბიუსტი შესრულებულია სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის მიერ.



მოღვაწეობისათვის ციმბირში გადასახლეს—
შინ სწუხდნენ: როგორ დაეღწიათ თავი ვა-
ჭირვებისათვის, რომელიც უმამოდ კიდევ
უფრო მწვავე გახდებოდა? უფროსების ამ
ლაპარაკს ოთხი წლის კოტემ ჩაუერთო:

— ნუ სწუხართ! ვისესხოთ ვინმესგან და
ციცხვოვროთ.

— ვალი ხომ უნდა გადავიხადოთ!—მიუგო
ამაზე უფროსმა ძმამ.

— ვისესხოთ მეორისაგან და მივცეთ.

— მეორესაც ხომ უნდა მივცეთ!

— მერე რა, ვისესხოთ მესამისაგან.

— მესამეს რაღა მივცეთ!

— იმ დროისათვის მამაც დაბრუნდება, —
უპასუხა პატარა კოტემ.

ბავშვობისას კოტე დედის თანაშემწე გახ-
და, მალე შეეჩვია შრომას. რვა წლისა იგი უკ-
ვე მუშაობდა ბოსტანში, ოსტატურად უვლი-
და ვაზს, მწყემსავდა საქონელს, შეელოდა
უფროსებს მიწის ხენაში.

1921 წლის თებერვალში საქართველოში
საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ღარიბმა
გლეხებმა საბჭოთა ხელისუფლებისაგან მიწა
მიიღეს. ნიკოლოზ ლესელიძის ოჯახშიც დად-
გა სიხარულის დღეები. წამოზრდილი ვაჟი-
შვილები უკვე შეელოდნენ მშობლებს...

ერთხელ ნიკოლოზმა თავი მოუყარა შვი-
ლებს და უთხრა:

— განხორციელდა ჩვენი ოცნებები. ახლა
უნია დავიცვათ ის, რაც უკვე მოვიპოვეთ.
ჩემი რჩევაა, შვილებო, წახვიდეთ და იმსა-
ხუროთ წითელ არმიამი. ის მოგცემთ თქვენ
იმას, რაც ვერ მოგეციოთ ჩვენ, მშობლებმა. ის
თქვენთვის კარგა სკოლა იქნება. ჩვენზე ნუ
სწუხართ,—და გადახვიდა რა გვერდით მჯდომ
ცოლს, დასძინა:—ჩვენ ახლა აღარაფერი გვი-
ჭირს, ხოლო თუ დაგჭირდათ თქვენც დაგეხ-
მარებით.

ამრიგად, საქართველოში საბჭოთა ხელი-
სუფლების დამყარების პირველივე წლებში
ნიკოლოზ ანდრეას-ძე ლესელიძემ წითელ არ-
მიას სამი გაჟიშვილი მისცა.

სამივე ძმამ არტილერიისტის სპეციალობა
აირჩია და სამშობლოს თავდაცვის საქმეს
მიუძღვნეს მთელი სიცოცხლე.

1921 წელს კონსტანტინე ლესელიძე, რომე-
ლიც ჯერ კიდევ სრული თვრამეტი წლის არც
კი იყო, ეწვია თბილისს და შევიდა ქართულ
გაერთიანებულ სამხედრო სკოლაში, საარტილ-
ლერიო დარგზე.

კოტე ლესელიძე არაჩვეულებრივი ნიჭისა
იყო. მას მხოლოდ შვიდწლელი ჰქონდა დამ-
თავრებული, მაგრამ ბევრ საშუალო განათ-

ლება დასრულებულზე უკეთ სწავლობდა
მხედრო სკოლაში. მაგრამ იგი მარტო-მარტო
ნიჭს როდი იყო დანდობილი. სწავლობდა
გულმოდინედ და ბეჯითად. განსაკუთრებით
კარგად ემარჯვებოდა ლესელიძეს ფიზიკა-
მათემატიკური საგნები, რომელნიც ასე საჭი-
როა არტილერიისათვის. მათემატიკაში იმა-
თაც კი შეელოდა, რომლებიც უმაღლეს სას-
წავლებლებში შესასწავლად ემზადებოდნენ.
როდესაც ერთხელ ჩამოვარდა ლაპარაკი სწა-
ვლის სიძნელეებზე, კოტემ თქვა: „ოღონდ
იყოს სურვილი, შინაც შეიძლება უნივერსი-
ტეტი დაამთავრო“.

როდესაც კოტე ლესელიძე გახდა მამა, იგი
ყოველ ღონეს ხმარობდა აღეზარდა შვილები
შრომისადმი, სწავლისადმი და სამშობლოსა-
დმი უღრმესი სიყვარულის სულისკვეთებით.

1943 წლის ზაფხულში, ნოვოროსისისკისათ-
ვის ბრძოლის დღეებში კოტეს ესტუმრა მისი
შვილი ოთარი, რომელიც არდადეგებს მამას-
თან, ფრონტზე, ატარებდა, ემზადებოდა სამ-
ხედრო პროფესიისათვის.

როდესაც ლესელიძის თანამებრძოლები სა-
ფრთხის აცილების მიზნით აუკრძალავდნენ
ხოლმე ოთარს პოზიციებზე ყოფნას, იგი ნა-
წყენი ამბობდა:

— ხომ გადაწყვეტილია, რომ მე მხედარი
უნდა გავხდე. რად მიშლით ხელს. უნდა მი-
ვიღო თუ არა საბრძოლო ნათლობა?

მამას ესმოდა შვილის გულის ნადები და
ხელს არ უშლიდა.

— მიეჩვიოს. საფრონტო პირობები შეა-
ყვარებენ მას სამხედრო საქმეს.

მამის რჩევით ოთარმა გადაწყვიტა არტი-
ლერიისტი გამხდარიყო. იგი სწორად მიდიოდა
საარტილერიო პოზიციებზე, დადიოდა დაზ-
ვერვაზე; ცოდნისმოყვარეობით აკვირდებოდა
არტილერიისტების საბრძოლო მუშაობას.

დღეს ოთარი ყველაფრით კლდობს დემ-
სტრაის მამას. მზად არის მამის მსგავსად
სამშობლოს კეთილდღეობას მონათმომის პთე-
ლი თავისი ძალ-ღონე. მან ფრიადზე დაამთავ-
რა ის სასწავლებელი. საიდანაც ოცდასუ-
თი წლის წინათ მისი მამა ოფიცერ-არტილე-
რისტად გამოვიდა. ამჟამად ლეიტენანტი
ოთარ ლესელიძე უკვე თვითონ წვრთნის
ახალგაზრდა არტილერიისტებს.

ოთარის საწერ მაგიდაზე, მინის ქვეშ, არის
მამის ნაჩუქარი ფოტოსურათი, რომელზეც
წარწერილია:

„ის ყოჩხვენია მამულსა,
რომ შვილი სჯობდეს მამასა“.

მ. დავითაშვილი



საქართველოს ბუნება

გარეული ცხოველები *

შველი



ნუ აჩანაგებთ, ნუ ანადგურებთ
ის შებრალების არის მთხოველი,
ჩვენი ტყეების სილამაზა
მიხაკისფერი ნაზი ცხოველი.
თვალეზი ისე ჭკვიანური აქვს,
თითქო ნამდვილად კაცისშვილია;
დედაშველს რქები როდი ეზრდება,
შველი რქიანი — ვაცი შველია.
შემოდგომაზე სცვივა შველს რქები,
მაგრამ ახალი ისევ ეზრდება;
ორ ნუკრს შობს დედა ყოველ ცხრა თვეში,
როგორც ბუნების არის წესდება.
შველს ემტერება მგელი და ტურა,
არწივიც, კოტიც — ეს თავკომბალა,
ნუკრებზე ხშირად ჰბედავს თავდასხმას,
წარმოიდგინეთ, — სინდიოფალაც.
ზოობარკებში კაცს ეგუება,
შინაურდება, კიდევ მრავლდება,
მაგრამ ოცდახუთ წელსაც ვეღარ სძლებს,
ჰლუბავს ფილტვების დაავადება.
ტყავიც კარგი აქვს, ბეწვიც კარგი აქვს,
ხორცი ხომ, ხორცი მეტად ნაზია;
შველი — ტყეების სუსტი ცხოველი
ჩვენი ბუნების სილამაზა.

მელია



რისთვის ეძახით მავნებელს,
რათ შეიძულეთ მელია?!
რატომ ემდურით საბრალოს,
ის განა მავნებელია?
სოფლისთვის, კოლმეურნისთვის
ნახეთ რა საქმეს ასრულებს:
იგი სობს მინდვრის მავნებლებს,
თაგვებს, ვირთაგვებს, ზაზუნებს.
ჰო, რა თქმა უნდა ცუდია,
რომ ქათამს თავს არ ანებებს,
მაგრამ რადა ჰღირს, რომ დღეში
სჭამს ასს, ასორმოც მავნებელს!
მწერსაც სობს, თითქოს იცოდეს,
რა მავნებელიც მწერია;
მაშ რათ ემდურით მელასა,
ის განა სოფლის მტერია?
ის არც დღესაა ბოროტი,
არც ნაძრახი აქვს წარსული;
შავი მელის ტყავს ყოველთვის
ხომ ნატრობს ყველა ასული!
ხუთ-ექვს ლეკვს ჰბადებს მშობელი,
მურა-მორუხო ფერისა...
საქართველოში შეგვხვდებათ
მელა მთისა და ველისა.

* მიმდინარე წელს „საბლიტვაში“ გამოსცემს პეტე ირაკლი აბაშიძის წიგნს „საქართველოს ბუნება“. ქურნალი „პიონერი“ დაბეჭდავს ნიმუშებს ამ წიგნიდან.

პოეტი მემოარი

თქვენს წიგნების თაობაზე იქნებ არც „გაზაფხულის სიმღერები“ აკლია.

საბავშვო ლექსების ეს პატარა კრებული 1938 წელს გამოვიდა. მისი ავტორი ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალებში „პიონერსა“ და „ოქტომბრელში“. ნორჩი მკითხველი მას იცნობდა, როგორც თავის საყვარელ პოეტს და ამხანაგები კი, ამასთან ერთად, როგორც წყნარ და მორიდებულ, თავდადებულ და გულწრფელ ადამიანს. ეს კაცი იყო ახალგაზრდა პოეტი სანდრო ჟღენტი.

სანდრო ჟღენტი დაიბადა 1908 წლის 16 ნოემბერს სოფელ ცხრაწყაროში (ზესტაფონის რაიონი). საშუალო სკოლა ქ. ზესტაფონში დაამთავრა. მოწაფეობაშივე შეუყვარდა მხატვრული ლიტერატურა. თვითონაც წერდა ლექსებს.

სანდრო უმაღლესი განათლების მიღებაზე ოცნებობდა. მაგრამ ხანშიშესულ მამას პავლე ჟღენტს შვილისთვის შესაფერისი დახმარების გაწევა არ შეეძლო. ამიტომ სანდრო თვითონვე შეუდგა თავისი ცხოვრების გზის გაკავვას; დაიწყო მასწავლებლობა თბილისის მახლობლად მდებარე სოფელ თელეთის პირველდაწყებით სკოლაში და თბილისის დაუახლოვდა. 1926 წელს სანდრო ჟღენტი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პედაგოგიური ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის დარგზე.

1930 წელს სანდრომ უნივერსიტეტი დაამთავრა.

ახალგაზრდა დამწყები პოეტი 1934 წლის ივლისში მოეწყო ჟურნალ „ოქტომბრელის“ რედაქციაში მდივნად. რედაქციაში მუშაობამ სანდრო წაახალისა. ამ დროიდან მისი კარგი ლექსები საბავშვო ჟურნალების თითქმის ყოველ ნომერში იბეჭდებოდა.

სანდრო ჟღენტია რამდენიმე ლექსი დაიბეჭდა ახალგაზრდა მწერალთა ჟურნალ „ჩვენს თაობაში“.

მასწავლებლად მუშაობამ სანდროს ხელი შეუწყო ბავშვის ბუნების გაცნობაში. სულითა და გულით შეუყვარდა ბავშვები. ეს გრძნობა პოეტს კარგად აქვს გამოხატული ლექსში „ნაჩუქარი ჯოხი“.

„შენ მაჩუქე ჯოხთან ერთად
მხიარული ბავშვის გული,
ეს ჯოხი ხომ ნიშანია
სიცოცხლის და სიყვარულის“.



სანდრო ჟღენტს ბავშვებისათვის ბევრი კარგი ლექსის დაწერა შეეძლო, მაგრამ უძროოდ შესწყდა მისი სიცოცხლე.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანვე სანდრო ჯარისკაცის ფარაჯით ბაქოსაკენ გაემგზავრა. ბაქოში დაამთავრა მეთაურთა მოკლევადიანი კურსები და მიიღო უმცროსი ლეიტენანტის წოდება. 1942 წლის თებერვლიდან მუშაობდა ბატალიონის მეთაურის უფროს ადიუტანტად მე-414 მსროლელ დივიზიაში. ჯარისკაცებს შორის დაამკვიდრა საუკეთესო აღმზრდელი საბჭოთა ოფიცრის სახელი; მალე ლეიტენანტის წოდებაც მიიღო.

სამხედრო ნაწილში სანდრო, როგორც კი დროს იშოვიდა, კვლავ განაგრძობდა ლექსების წერას, რომლებიც დივიზიის გაზეთ „სამშობლოს დამცველში“ იბეჭდებოდა.

სანდრომ ბრძოლით გაიარა მდინარე თერგის ნაპირებიდან ყუბანის ველები და მიღწია აზოვის ზღვის ნაპირს. აქ პოლკმა, რომელშიც სანდრო ირიცხებოდა, მიიღო საბრძოლო დავალება: გასულიყო ხუტორ კალაპატკაში და გერმანელებისათვის უკანდასახევი გზა გადაეჭრა. ეს იყო 1943 წლის 18 თებერვალი. რამდენიმე დღე სწარმოებდა შეუპოვარი ბრძოლა. ამ ბრძოლაში 1943 წლის 23 თებერვალს გმირის სიკვდილით დაეცა პოეტი მემოარი — სანდრო ჟღენტი.

იგი დასაფლავებულია ხუტორ კალაპატკას ძმათა სასაფლაოზე.



საქართველოს
წიგლიერთა
კავშირი

ბრძოლის ადგილზე ნაპოვნი იქნა სანდრო
ქლენტიის საველე ჩანთა, რომელშიც აღმოჩ-
ნდა 1943 წლის 22 თებერვალს დაწერილი
ლექსი „ფიცი სამშობლოს“ და წერილი გა-
ზეთ „სამშობლოს დამცველის“ რედაქტორ
არჩილ კოკილაშვილისადმი. ამ წერილში
სანდრო სწერს:

„ამხ. არჩილ! ამ წერილს გწერ ვააფთრე-
ბული ბრძოლების პირობებში. ირგვლივ
თოფ-ზარბაზნების ჭექა-ქუხილია. გერმანე-
ლები ვააფთრებული იერიშებით მოდიან
ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ არ ვნებდებით,
არც დავნებდებით... გიორგი სააკაძისა და
პატარა კახის მოდგმის ადამიანებს, რომ-
ლებიც დიდმა სტალინმა გამოგვაწრთო
ბრძოლაში, არაფერი გვაშინებს... მე შეიძ-
ლება ველარ ვნახოთ. მაგრამ გთხოვთ მიგუ-
ლოთ, როგორც ბოლშევიკი და ლენინ-
სტალინის პარტიის ერთგული შვილი, რომ-
ელსაც ჩემს პატარა ცხოვრებაში არაფერი
გამაჩნია, გარდა სამშობლოს სიყვარულისა.
ვასრულებ თქვენს დავალებას. გუშინ შეტე-
ვის წინ დავწერე ლექსი „ფიცი სამშობ-
ლოს“ და გიგზავნით. თუ მოგეწონოთ და-
ბეჭდეთ. ს. ქლენტი“.

დიდი სამამულო ომის ფრონტზე ნიჭიერი

პოეტის გმირულად დაცემამ ჩვენს
გამოხმაურება ჰპოვა.

1943 წლის 23 ივნისს გაზეთ „კომუნისტ-
ში“ პოეტი სიმონ ჩიქოვანი წერდა: „ახალ-
გაზრდა პოეტი სანდრო ქლენტი, რომელიც
თავდადებით იბრძოდა საზიზღარი მტრის წი-
ნააღმდეგ, ბრძოლაშივე მღეროდა, როგორც
ქარიშხალთან შეჯახებული ფრინველი:

„ჩემო სამშობლო, ჩემს სიჭაბუკეს
შენ შემოგწირავ, გწამდეს მარადის“.

ამ სიტყვებში პოეტმა გამოხატა ქართველ
მებრძოლთა სულისკვეთება და თავისი სიჭა-
ბუკე მართლაც შესწირა საყვარელ სამშობ-
ლოს. ყოველ ფეხის ნაბიჯზე დასტურდებო-
და პოეტი-მეომრის სისხლით დაწერილი
სტრიქონები“.

დედასამშობლოსადმი გულწრფელად მომ-
ღერალი პოეტი სანდრო ქლენტი, რომელმაც
თავისი პოეტური სიტყვა საქმედ აქცია და
სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკი-
დებლობისათვის თავი გასწირა, ღირსია, მო-
მავალი თაობაც იცნობდეს მას თავისი პატა-
რა, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრებით და
ლექსებით.

ლავრონტი ზინცაძე

აკვანი

ხემ ტანი რომ აიშოლტა,
ვინ მოუტრყო ფესვებს მიწა...
ვინ მოჭრა და გამოთალა
დიდებული აკვნის ფიცრად!

ვინ იცოდა, რა ყისმათზე
მზე ათბობდა ტყეში ლატანს,
ან ოსტატი რომელ ყრმისთვის
აკეთებდა ასეთ აკვანს!

საიდან და რომელი გზით
ქოხს მოადგა ბედის წყარო...
ვინ დალოცა დედის ძუძუ:
„ქემ სამშობლო გაახაროს!“

დედამ ისევ, დედის გულმა
შვილს უმღერა ტკბილი ნანა,
რომ აკვირიდან მზის ამოსვლას
თან გრივალი მოეტანა.

და რამდენჯერ დაუტოცნა
ტუჩები და ლერწმის ღერო,
თურმე, დედა ჩაგრულ ხალხსა
შვილს უზრდიდა სასახელოს.

ბავშვსაც მძივის ახარებდა
ვარსკვლავების მსგავსად ბრწყინვა...
არტახები დაუქარგა
დედამ ცულქს და სახემცინარს.

ვინ იცოდა, რა ყისმათზე
მზე ათბობდა მზისთვის ლატანს...
ან ოსტატი რომელ ყრმისთვის
აკეთებდა ასეთ აკვანს!

სანდრო ქლენტი



ერმიტაჟი

ჯორჯ დოუ ჯერ კიდევ განაგრძობდა მუშაობას რუს მხედართუფროსების პორტრეტებზე, როდესაც ტახტზე ნიკოლოზ პირველი ავიდა. გამეფებისთანავე ნიკოლოზ პირველმა მოსპო მთელი რიგი სურათები, რომელზეც ასახული იყვნენ მისთვის არასასურველი პიროვნებანი, როგორც, მაგალითად, დეკაბრისტები და სხვ. ნიკოლოზ პირველის რისხვა თავს დაატყდა აგრეთვე XVIII საუკუნის დიდი ფრანგი სატირიკოსი მწერლისა და ფილოსოფოსის ვოლტერის მარმარილოს ქანდაკებას, რომელიც ეკატერინე მეორის შეკვეთით გამოჩენილი ფრანგი მოქანდაკის პუდონის მიერ იყო შესრულებული. ეს ქანდაკება ასახავს სავარძელში მჯდომ ღრმად მოხუცებულ ვოლტერს. უამთა მსვლელობი-

თა და ავადმყოფობით დაძაბუნებულა მისი სხეული, მაგრამ შინაგანი ცეცხლით ავზნებულ მის თვალებში კოლოსალური, შეუღრეველი ძალა იგრძნობა. მომაკვიდნებლად დასციინიან ეს თვალები ძველ დახავსებულ ცხოვრებასა და ბნელეთის მოციქულებს.

როდესაც მეფე ნიკოლოზმა ერმიტაჟის დათვალიერების დროს პირველად შეავლო თვალი გამოქანდაკებული ვოლტერის ამ დამცინავ თვალებს, სიბრაზით წამოიყვირა: — მომაშორეთ ეს ბებერი მაიმუნი!

მოაშორეს, გადამალეს ვოლტერის ქანდაკება ერმიტაჟის ბნელ საწყობში და მხოლოდ XIX საუკუნის დასასრულს ეღირსა პუდონის ამ შესანიშნავ ქმნილებას ერმიტაჟის ნათელ დარბაზებში დაბრუნება.

ნიკოლოზ პირველი დაუძინებელი მტერი იყო ყოველივე პროგრესულისა, იგი ჯალათად ევლინებოდა პოეტებსა და მხატვრებს; ეს იყო კაცი, რომელიც ზიზღით უყურებდა მისთვის არასასურველ სურათებსა და ქანდაკებებს, სწვადა და ანადგურებდა მათ, მაგრამ სწორედ მის დროს შეემატა ძველი, ეკატერინესდროინდელი ერმიტაჟის სამხატვრო კოლექციას უამრავი ძვირფასი სურათი.

უფრო მეტი: სწორედ ნიკოლოზ პირველის მეფობის დროს დაიწყო აგრეთვე ახალი ერმიტაჟის გრანდიოზული მშენებლობა.

ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი პარადოქსი, ვასაოცარი შესაბამება რუსეთის კულტურის განვითარების ისტორიაში!...

ათ წელიწადს მიმდინარეობდა ერმიტაჟის მშენებლობა. რუსეთის ყოველი კუთხიდან ეზიდებოდნენ პეტერბურგს ძვირფას მასალას ამ მშენებლობისათვის. იმ დროის საუკეთესო ხუროთმოძღვრები და მოქანდაკენი მუშაობდნენ მის ასაგებად.


1852 წლის 5 თებერვალს გაიხსნა ახალი ერმიტაჟი — „იმპერატორის მუზეუმი“ და მან ერთბაშად ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებს შორის. დიადი და მომხიბლავი იყო მისი გრანიტის სვეტები, მარმარილოს ფართო, გრძელი და მაღალი კიბეები, მოზაიკური იატაკი, ზღაპრულად მოჩუქურთმებული დარბაზები.

კიდევ უფრო გაძლიერდა ახალი სურათების ნაკადი უცხოეთიდან. ახალი ერმიტაჟის



პუდონი. ვოლტერის ქანდაკება.

*) დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „პიონერის“ № 1-ში.



ვან-დეიკი, საოჯახო პორტრეტი

გახსნისთანავე შეძენილ იქნა მურილიოს, ზურბარანის, რემბრანდტის და სხვათა ნახატები. შეძენილ იქნა მთელი რიგი სურათები აგრეთვე ნაპოლეონის მარშლის სულტის სამხატვრო კოლექციიდან.

ერმიტაჟი და რუსი მხატვრები

რატომ ხდებოდა, რომ ამ პერიოდის ერმიტაჟი ფანაჯრძობდა კვლავ უცხოური სურათების შექმნას და რუსეთის ხელოვნებას უფლებებლჰყოფდა, თითქოს ის არც კი არსებობდა? ახლაც ზომ იმავე მდგომარეობაში არ იყო რუსეთის ხელოვნება, როგორც პეტრე პირველის დროს? რასაკვირველია, არა. ცნობილია, რომ 1856 წლიდან მოსკოვში მდიდარმა მრეწველმა პავლე ტრეტიაკოვმა საფუძველი ჩაუყარა თავის კერძო სამხატვრო გალერეას, რომელშიც თავს უყრიდა რუსი მხატვრების ნაწარმოებთ. მალე ეს გალერეა შესანიშნავ ნაციონალურ სამხატვრო გალერიად გადაიქცა. ტრეტიაკოვმა იგი თავის სიცოცხლეშივე გადასცა ქალაქ მოსკოვს საკუთრებად. მიუხედავად ასეთი დიდი მნიშვნელობის მოვლენისა და იმ სასიკაძულო საქმისა, რომელსაც პ. ტრეტიაკოვი აკეთებდა რუსეთის ხელოვნებისათვის, ერმიტაჟის დიდგვაროვანი მესვეურები ამას მაინც ვერ ამჩნევდნენ. ისინი ხედავდ-

ნენ და სცნობდნენ მხოლოდ და მხოლოდ უცხოურს, ყოველივე რუსულს მხატვრების ყოველ ქმნილებას შეიძლება ათვალწუნებით უყურებდნენ და ძუნწად, ძლიერ ძუნწად უთმობდნენ მათ ადგილს ერთი-ძირაჟის დარბაზებში.

იმ დროის ერმიტაჟისაგან ტრეტიაკოვის გალერეა იმითაც გამოირჩეოდა, რომ იქ ყველას შეეძლო თავისუფლად შესვლა და მისი საუცხოო სურათების ხილვა. ასე როდი იყო ერმიტაჟში. მხოლოდ მუნდირებსა და ფრაკებში გამოწყობილ დიდგვაროვანთ და ძეფის ახლობლებს ჰქონდათ უფლება „იმპერატორის მიუზეუმში“ შესვლისა. ყველა დანარჩენისათვის, ხალხის დიდი მასისათვის მისი კარები მაგრად იყო გადარაზული. მიუხედავად ამისა, ერმიტაჟში შეგროვებულთა მსოფლიო ხელოვნათა უდიდესთა ქმნილებებმა თავისი ადგილი ჰპოვეს რუსეთის კულტურის ისტორიაში. სრულიად დამოუკიდებლად იმისაგან, სურდათ თუ არა ეს მისი მაშინდელ მესვეურებს, ერმიტაჟმა უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის კულტურისა და რუსეთის ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

განსაკუთრებული როლი შეასრულა ერმიტაჟმა XIX საუკუნის რუს მხატვართა ბრწყინვალე პლეადის აღზრდაში. XIX საუკუნეში ჩაისახა და გიფურჩქნა რუსეთის ხელოვნებაში ახალი რეალისტური სკოლა და ამ სკოლის თვითეული წარმომადგენლის მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფია, — მოწაფეობის წლების გაუბედავი ხაზგეხიდან დასოულელებული ოსტატობამდე, — მჭიდროდ იყო დაკავშირებული ერმიტაჟთან. მიუხედავად ათასგვარი დაბრკოლებისა, ერმიტაჟში მოდიოდნენ, სწავლობდნენ და ვან-დეიკის, ველასკეზის, კრუსპის, რემბრანდტის, ტიციახის, რუბენსისა და სხვების ნახატების აირებს იღებდნენ ისეთი შესანიშნავი რუსი მხატვრები, როგორც იყვნენ — ა. ვენეციანოვი, პ. ფედოტოვი, ტ. შევჩენკო, მ. ნესტეროვი, ვ. პეროვი, ვ. სეროვი, ვ. სურვიკოვი, ი. რეპინი და მრავალი სხვა.

ერმიტაჟის ისტორიაში შემდგომი პერიოდი მეფე ალექსანდრე მეორის მეფობის დროს დადგა. ამ პერიოდშიც საკმაოდ ღირსშესახისმნავი კოლექცია შეემატა ერმიტაჟს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1859 წელს რომში შეძენილი ქალღმერთ ვენერას მარმარილოს ქანდაკება, რომელიც პეტრესდროინდელ ვენერასაგან განსხვავებით, „ერმიტაჟის ვენერას“ სახელით არის ცნობილი.

ამ პერიოდის ერმიტაჟის ისტორიაში ისიც აღსანიშნავია, რომ მისი კარები ამ



დროს, როგორც იქნა, გაიღო ფართო მნახველთათვის. 60-იანი წლების „რაზნოჩინცებმა“, რომლებიც მუნდირებსა და ფრაკებს არ ატარებდნენ, მაგრამ რომელთაც უყვარდათ ხელოვნება, მოითხოვეს ერმიტაჟში თავისუფალი შესვლა. მეფის მთავრობა იძულებული გახდა მათი დაყენებითი მოთხოვნისათვის დაეთმო და ერმიტაჟის კარები არცთუ ისე ფართოდ, მაგრამ მაინც გაეღო. მუნდირიან და ფრაკიან დიდგვაროვანთა გვერდით ერმიტაჟში ახლა უკვე ზოგჯერ შეიძლება გრძელთმიანი სტუდენტებისა და სემინარისტების ნახვა.

ცული პერიოდი დაიწყო ერმიტაჟის ისტორიაში ალექსანდრე მესამის მეფობის დროს. უსახსრობის გამო ერმიტაჟს სამუალები აღარ ჰქონდა შეეძინა რაიმე ღირსშესანიშნავი მხატვრული ნაწარმოები და მთელი რიგი საუცხოო ტილოები და ქანდაკებანი მსოფლიო ბაზრიდან ევროპის მუზეუმების ხელში გადადიოდა.

ასეთივე არასახარბილო მდგომარეობაში იყო ერმიტაჟი ნიკოლოზ მეორის მეფობის დროსაც. მაგალითად, 1916 წელს, ერმიტაჟს, მხატვრული კოლექციების შესაძენად ორმოცდაათჯერ ნაკლები თანხა ჰქონდა, ვიდრე ბრიტანეთის მუზეუმს (ლონდონი), და თექვსმეტჯერ ნაკლები, ვიდრე ლუვრს (პარიზი).

ხალხის კუთვნილება

1917 წელს მოხდა თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია. დროებით მთავრობას არც რუსეთის ხალხებისათვის, არც, კერძოდ, ერმიტაჟისათვის არაფერი სიკეთე არ მოუტანია. მხოლოდ ის მოხდა ერმიტაჟის ისტორიაში, რომ ფრონტზე მძიმე დამარცხებათა შემდეგ კერენსკის ბრძანებით პეტროგრადიდან დაიწყო ერმიტაჟის ქონების მოსკოვს გადაზიდვა. სექტემბერ-ოქტომბერში ორი ეშელონით გადატანილ იქნა მოსკოვს ერმიტაჟის დიდძალი ქონება, მაგრამ ამ ხანებში დროებითი მთავრობის უკანასკნელი დღეებიც დადგა.

გამარჯვა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. დამფრთხალი კაპიტალისტები და მემამულეები თავიანთ განძეულს — ძვირფას მხატვრულ ტილოებსა და ქანდაკებებს ერმიტაჟს აბარებდნენ, მეფის სასახლეში ინახავდნენ, თვითონ კი, თავს აფარებდნენ თეთრგვარდიელთა ბანაკებსა და უცხოეთს.

ვ. ი. ლენინმა, მიუხედავად იმისა, რომ ვადატვირთული იყო ათასგვარი გადაუდებელი საქმით ახალი საბჭოთა რესპუბლიკის დასადავად და მოსაწყობად, ჯერ კიდევ

1917 წლის ნოემბერში წინადადებას წაუდგინა ა. ვ. ლუნაჩარსკის შეექმნა განსაკუთრებული მუზეუმების საქმეთა და ხელოვნებისა და და სიძველეთა ძეგლების დაცვის კოლეგია.

1918 წლის დეკრეტით, რომელსაც ხელს აწერდა ვ. ი. ლენინი, აიკრძალა ხელოვნების ნაწარმოებთა საზღვარგარეთ გატანა.

1919 წლის გაზაფხულზე ერმიტაჟში გაიხსნა პირველი რევოლუციის შემდგომი გამოფენა. მუნდირებსა და ფრაკებში გამოწყობილ დიდგვაროვან პირების ნაცვლად ერმიტაჟს ესტუმრენ უბრალოდ ჩაცმული პეტროგრადელი მშრომელები.

1920 წლის 23 ივნისს სასკოლმსაბჭომ მიიღო დადგენილება ერმიტაჟის განძეულის რევეკუაციის — სექტროგრადში დაბრუნების შესახებ. იმავე წლის 17 ნოემბერს ორი საგანგებო მატარებელი გავიდა მოსკოვიდან პეტროგრადისაკენ, მათ მიჰყვა სპეციალური სამხედრო მატარებელი ერმიტაჟის ქონების დასაცავად გზაში.

რამდენიმე დღის შემდეგ, 28 ნოემბერს გაიხსნა ერმიტაჟში რემბრანდტის დარბაზი, 1921 წლის 2 იანვარს კი ძველი ერმიტაჟის ყველა ოცდაორი დარბაზის კარები ფართოდ გაიღო საბჭოთა ადამიანების მისაღებად.

ერმიტაჟი ხალხის კუთვნილება გახდა... ერთიხუთად გაიზარდა „იმპერატორის



რემბრანდტი. გზაბნეული შვილის დაბრუნება.



მუზეუმის“ ძველი შენობა. დღეს სახელმწიფო ერმიტაჟის აურაცხელი გალერეებისა და დარბაზების საწინააღმდეგო, რომელთაც პექტარი ფართობი უჭირავთ, 22 კილომეტრის ვაგლასა საჭირო.

საბჭოთა ერმიტაჟი ხელოვნების მრავალი ახალი ძეგლით „მეცხო“ და, რაკი ვეღარ დაიტია ამ ძეგლების დიდი რაოდენობა, მას მთელი ზამთრის სასახლე გადაეცა. თავისი კოლექციების სიმდიდრით ერმიტაჟის ბადალი მსოფლიოში მხოლოდ ბრიტანეთის მუზეუმში ინგლისში და ლუვერი საფრანგეთში.

ერმიტაჟის იმეათად მდიდარი კოლექციების საწინააღმდეგო უცხოეთიდან მოდიოდნენ ხელოვნებათმცოდნეები და ხელოვნების მოყვარულნი. უცხოელები თავისი ქვეყნის დიდ მხატვართა ქმნილებებს ერმიტაჟში ეძებდნენ. მხოლოდ, აქ, ერმიტაჟში იყო დაცული ისეთი ტილოები, რომელთა ბადალი მსოფლიოში არსად არ მოიპოვებოდა.

1914 წელს პეტერბურგს ჩავიდა დიდი ბელგიელი პოეტი ემილ ვერჰარნი და იმ დღესვე ერმიტაჟს ესტუმრა. მან აქ ნახა, სხვა მრავალ შესანიშნავ ნაწარმოებთა გვერდით, გენიალური ჰოლანდიელის — რემბრანდტის შეუდარებელი ტილოები, რომელთა ბადალი თვით ჰოლანდიაში არ მოიპოვება. აღფრთოვანებული ნარკვევი მიუძღვნა ვერჰარნი ერმიტაჟის სამხატვრო გალერიას და, განსაკუთრებით, რემბრანდტის შესანიშნავ ქმნილებას, რომელიც ცნობილია „გზააბნეული შვილის დაბრუნების“ სახელით.

მაგრამ მარტო თავისი კოლექციების სიმდიდრით როდია განთქმული სახელმწიფო ერმიტაჟი. იგი ახლა დაძაბულად მუშაობს მასში დაცული უდიდესი კულტურული მემკვიდრეობის საბჭოთა ხალხის ფართო მასებისათვის გასაცნობად.

ძველი ერმიტაჟი, იმპერატორების ეს კერძო გალერია, მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ დაეგროვებია სახელოვანი მხატვრებისა და მოქანდაკეების რაც შეიძლება ბევრი ნაწარმოები და თავს არ იწუხებდა სისტემაში მათ მოსაყვანად. სურათები და ქანდაკებები ძველ ერმიტაჟში განლაგებული იყო სრულიად უწყისოდ და შეურჩევლად; სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა სკოლის მხატვრების ნახატები ერთი მერჯეში იყო არეული; ერთი მხატვრის ნახატები რომ ბლომად იყო, მეორესი სრულიად არ მოიპოვებოდა და ა. შ.

სახელმწიფო ერმიტაჟმა სულ სხვა ვეზი აიღო. საბჭოთა მეცნიერებმა უდიდესი მუშაობა გასწიეს ერმიტაჟის წესრიგში მოწყ-

ვანად, და დღეს იგი მარტო თავისი კოლექციების სიმდიდრით კი არაა განთქმული არამედ იმითაც, რომ საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთ უდიდეს ცენტრს წარმოადგენს. სახელმწიფო ერმიტაჟში ყოველი ნივთი უკვე განლაგებულია გარკვეული სისტემის მიხედვით, შევსებულია მთელი რიგი სურათებით, რომლებსაც უეჭველი მნიშვნელობა აქვთ ხელოვნების ისტორიაში.

სახელმწიფო ერმიტაჟი — ეს კოლოსალური, გიგანტური მუზეუმი — შესდგება ოთხი ძირითადი განყოფილებისაგან:

1. წინაკლასობრივი საზოგადოების განყოფილება.
2. ანტიკური სამყაროს კულტურისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილება.
3. აღმოსავლეთის კულტურისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილება.
4. დასავლეთ ევროპის ხელოვნების ისტორიის განყოფილება.

სახელმწიფო ერმიტაჟს ყოველდღიურად ათასობით საბჭოთა ადამიანი ათვალიერებს. მათ შორის მუდმივი სტუმრები არიან ლენინგრადელი პიონერ-მოსწავლეები. მათ შესვდებით ერმიტაჟის ყოველ დარბაზში, ყოველ გალერიაში. ისინი ყურადღებით სწავლობენ თვითეულ ნივთს, შემდეგ თავს იყრიან ფელტენის დარბაზში და მართავენ მეცნიერულ კრებებს. ერმიტაჟში 1940 წლისათვის წრეებად იყო გაერთიანებული 700-ზე მეტი ნორჩი ხელოვნებათმცოდნე და ისტორიკოსი.

ოდესღაც არქიტექტორმა ჩიჩიმ ეკატერინე მეორის დაკვეთით დაამზადა ძველი რომის განთქმულ ნაგებობათა მაკეტები კორპისაგან. ეს მაკეტები გამოჩნული იყო უფლისწულ ალექსანდრეს სასწავლო ოთახისათვის. ახლა ისინი შეტანილია ერმიტაჟის სასკოლო წრეების ინვენტარში. ძველი რომის დიდებული პანთეონისა და კოლიზეუმის ნანგრევები, მინებში ჩამჯდარი, მდუმარედ ისმენენ საბჭოთა ბავშვების ცხარე კამათს ძველი არქიტექტურის ირგვლივ...

* * *

ეკატერინე მეორის „განმარტოებულ თავშესაფარის“ შექმნიდან 180 წელზე მეტმა განვლო. ახლა ერმიტაჟის თეატრში ამფითეატრის წითელი ხავერდით გადაკრულ სავარძლებში სხდებიან ტრაქტორისტები და მხატვრები, კომბაინერები და მეცნიერები, მეხბორეები და აგრონომები, მწველავები და მასწავლებლები, და ყოველი მათგანი თავისი ადგილიდან ყველას ხედავს.

ყველა ადგილი აქ ერთნაირად საპატიო და ღირსეულია.

საქადრაკო მსოფლიო უჩემპიონოდ



პირველი დიდი საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი შესდგა 1851 წლის მაისში, ლონდონში—სენ-ჯორჯის კლუბში. მასში მონაწილეობა მიიღო იმდროინდელმა 16 ცნობილმა მოჭადრაკემ. ტურნირის ორგანიზაცია განსხვავდებოდა ორი თავისებურობით: თავაში სწარმოებდა სვლეების მოსაფიქრებლად საჭირო დროის აღურიცხავად (ე. ი. უსაათოდ), წაგებული მონაწილე გადიოდა შეჯიბრებიდან. ტურნირში გაიმარჯვა ვერმანელმა მოჭადრაკემ ანდერსენმა.

მაგრამ ანდერსენის საქადრაკო კარიერას წერტილი დაესვა 1858 წელს, როცა მან მატჩი წააგო ამერიკელ პაულ მორფისთან. ამ უკანასკნელმა ტრიუმფით შემოიღო ევროპა—დაამარცხა ყველა უძლიერესი მოჭადრაკე. მაგრამ ერთი წლის შემდეგ მორფიმ სავსებით მიატოვა ქადრაკი.

ქადრაკის ისტორიაში პირველად „მსოფლიო ჩემპიონის“ ტიტული მიენიჭა ავსტრიელ სტეინიცს, რომლის სახელთან დაკავშირებულია საქადრაკო ხელოვნების განვითარების მთელი ეპოქა. წინააღმდეგ ძველი კომბინაციური სკოლისა, სტეინიცმა შეიმუშავა პოზიციური თამაშის ახალი მეთოდები და პრინციპები. 1866 წელს სტეინიცმა მოუგო მატჩი ანდერსენს ანგარიშით: $+8-6=0$, მაგრამ „მსოფლიო ჩემპიონის“ ტიტული მას მიენიჭა მხოლოდ 1885 წელს, როცა დაამარცხა იმ დროის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე—ტუქერტორტი.

1889 წელს ბრესლაველში საქადრაკო კონგრესზე პირველი პრიზი მოიპოვა 20 წლის ემანუელ ლასკერმა. 1894 წელს მან მოუგო მატჩი ($+10-5=4$) მსოფლიო პირველობაზე უკვე ხანდაზმულ სტეინიცს. ამ დამარცხებამ დიდად იმოქმედა სტეინიცზე და მან მოითხოვა რეფანში. ლასკერმა არ მიიღო წინადადება. მაშინ სტეინიცმა მას უხეში წერილი მისწერა, და განაცხადა, რომ ლასკერის მიერ ახალი მატჩის თამაშზე უარის თქმის გამო იგი თავს კვლავ მსოფლიო ჩემპიონად სთვლის.

წერილსაც ასე მოაწერა ხელი: „საქადრაკო მსოფლიო ჩემპიონი სტეინიცია“.

მიუხედავად ამისა მატჩი მაინც ჩატარდა მოსკოვში 1896—1897 წლებში, და კვლავ დამთავრდა სტეინიცის დამარცხებით. ლასკერმა მოიგო ანგარიშით: $+10-2=5$.

1911 წელს გამოჩნდა დიდი მოჭადრაკე, რომელმაც ალაპარაკა მთელი საქადრაკო მსოფლიო. ლაპარაკია კუნძულ კუბის მცხოვრებზე—ხოზე რაულ კაპაბლანკაზე. მისი პირველი სტუმრობა ევროპაში აღინიშნა სან-სებასტიანოს ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვებით.

მსოფლიო პირველობაზე ლასკერ—კაპაბლანკას მატჩის მოწყობას ხელი შეუშალა მსოფლიო ომმა.

1921 წლის მარტში ჰავანაში (კუბა), დაბოლოს, შესდგა მატჩი ამ ორ უდიდეს მოჭადრაკეს შორის. ლასკერმა ვერც ერთი პარტია ვერ მოიგო—ოთხი წააგო და ათი ყაიძით დაამთავრა.

მაგრამ ახალი ჩემპიონის კარიერა არ იყო ხანგრძლივი: 1927 წელს ბუენოს-აირესში კაპაბლანკა დაამარცხა დიდმა რუსმა მოჭადრაკემ ალექსანდრე ალიოხინმა. მატჩის ანგარიში იყო: $+6-3=15$.

1935 წელს ჰოლანდიის ჩემპიონმა მაქს ეივემ მატჩი მოუგო ალიოხინს და გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მაგრამ 1937 წელს, მატჩ-რეფანში, გამარჯვება და ჩემპიონობა წილად ხვდა ისევ ალიოხინს.



გ. სტეინიცია



ე. კაპაბლანკა



ე. ლასკერი

ქაღრაკში მსოფლიო ჩემპიონის ალექსანდრე ალიოხინის გარდაცვალებამ ისევ შექქენა უცნაური მდგომარეობა: საქარაკო მსოფლიოს ამჟამად ჩემპიონი არა ჰყავს.

* * *

მოქაღრაკეთა საერთაშორისო კონგრესის გადაწყვეტილებით 1948 წლის მარტსა და აპრილში მსოფლიოს ექვსი უძლიერესი მოქაღრაკის მონაწილეობით მოეწყომა მატჩ-ტურნირი. შეჯიბრების პირველი ნახევარი ჩატარდება ჰააგაში, ხოლო მეორე — მოსკოვში. თვითუელ მონაწილეს მოუწევს 20 პარტიის თამაში — ესე იგი ყაველი მოთამაშე მოწინააღმდეგეს შეხვდება ოთხჯერ.

მატჩ-ტურნირში მონაწილეობის მიღების უფლება მიეცათ საბჭოთა კავშირის სამ გროსმაისტერს — მ. ბოტვინიკს, პ. კერესს და ვ. სმისლოვს და საზღვარგარეთის გროსმაისტერებს — მ. ეიფეს (ჰოლანდია), ს. რეშევსკისა და რ. ფაინს (ორიგე ამერიკის შეერთებული შტატები).

საერთო აზრია, რომ ამ მატჩ-ტურნირში პირველობის მთავარი პრეტენდენტებია მ. ბოტვინიკი და პ. კერესი. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დანარჩენ მონაწილეებს არ ძალუძთ პირველობისათვის წარმატებით ბრძოლა.

მომავალი მატჩ-ტურნირი იქნება თვალსაჩინო მოვლენა ქაღრაკის ისტორიაში. იგი გამოავლენს არა მარტო მსოფლიო ჩემპიონს, არამედ აგრეთვე იქნება სხვადასხვა საქაღრაკო სკოლისა და სტილის მწვავე ბრძოლის ასპარეზი და დიდად წასწევს წინ საქაღრაკო ხელოვნებას.



მ. გივვ



ა. ალიოხინი

ლ. ხომერიკი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ი. ბ. სტალინი — (პორტრეტი, ჟურნალის დანართი).
 ვ. გორგანელი — სტალინგრადი (ლექსი) გარეკანის მე-2 გვ.
 გ. შატბერაშვილი — თებერვალი (ლექსი) 1
 უძლეველი საბჭოთა არმია (წერილი) 2
 ი. გრიშაშვილი — ესპანური სიმღერა (ლექსი) 4
 კ. შეხხი — გამჭვირვალე ბუჩქი (მოთხრობა) 5
 ლ. ებანოძე — მეცნიერული კომუნის პირველი პროგრამა (წერილი) 7
 გ. კაჭახიძე — გოგის სიხარული (ლექსი) 9
 მ. ლებანიძე — „ნაკადული“ (ლექსი) 10
 დ. შამათავა — საბავშვო ლიტერატურის მხცოვანი მოამაგე (წერილი) 11
 ა. თევზაძე — დაზგებს დავხარი (ლექსი) 12
 რ. ქორჭია — ნატო (მოთხრობა) 13


ო. ნემსაძე — პიონერული რახმელის შეკრება 16
 ვ. სულაბერიძე — გულადი იგორი (პოემა) 19
 მ. დავითაშვილი — გენერალი ლესელიძე (წერილი) 22
 ი. აბაშიძე — საქართველოს ბუნება (ლექსები) 24
 ლ. ჭიჭინაძე — პოეტი-მეომარი (წერილი) 25
 ს. ულენტი — აკვანი (ლექსი) 26
 შ. გვინჩიძე — ერმიტაჟი (მოკლე ისტორიული ნარკვევი, დასასრული) 27
 ლ. ხომერიკი — საქაღრაკო მსოფლიო უჩემპიონოდ (წერილი) 31
 გასართობი გარეკ. მე-3 გვ.
 საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლებით განდღურებულთა გალერია გარეკ. მე-4 გვ.

გარეკანზე ირინე გიგოლაშვილის ნახატი „სალამი ელექტრომავალს!“

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. კაჭახიძე**
 სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ვ. ვარდიაშვილი, პროფ. გ. თავზიშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.


აკროკროსოვორდი

1. XX საუკუნის დიდი რუსი მწერალი. 2. ლითონი, 3. პლანეტა. 4. საზღვრო ჯარისკაცი.



5. ელექტროდენის ძალის ერთეული, 6. დანიელ დეფოს რომანის გმირი, 7. ყაზახური სახალხო პოეტი, 8. ქალაქი საქართველოში, 9. უდაბნო აფრიკაში, 10. კუნძული შორეულ აღმოსავლეთში, 11. ქვანახშირის ერთეული სახეობა, 12. საწვავი მასალა ავტომანქანებისათვის, 13. მდინარე აზერბაიჯანში, 14. მცენარეული ადგილი უდაბნოში, 15. ტემპერატურის საზომი ხელსაწყო, 16. მათემატიკური მეცნიერების დარგი, 17. სასპორტო მოედანი, 18. ქიმიური ელემენტი, 19. კუნძულთა ჯგუფი, 20. მუსიკალური ინსტრუმენტი, 21. მდინარე ჩრდილო კავკასიაში, 22. ცეცხლმფრქვევი მთა, 23. უდიდესი წრეხაზი დედამიწის ზედაპირზე, 24. სუბტროპიკული მცენარე, 25. აკაკი წერეთლის დაბადების ადგილი.

თავსატყეპი



	20	36	24	8	9	16	9	
25	30	8	24	6	10	36	18	9
	15	6	10	4	36	18	9	
3	6	1	8	30	1	6	4	36
	2	36	8	3	30	18	9	

ნახევრში მოცემულ ასოებისა და რიცხვების საშუალებით, საჭირო წესებს მივყავართ და გამოვყენებით, ამოვიკითხეთ ქართული ფილოსოფოსის, მწერლისა და პოეტის გვარები.

პასუხი

ფურნალ „პიონერის“ 1947 წლის № 9, 10, 11 და 12-ში გამოქვეყნებულ გასართობ გამოცანებზე.

№ 9

გამოცანა „ორი მატარებელი“

მატარებელი „ა“ დაიბრუნა უკან და გაუნთავისუფლეს გზას მატარებელი „ბ“ და ჩიხში შესასვლელად. მატარებელი „ბ“ შეეგა ჩიხში № 2, დატოვებს აქ 5 ვაგონს და დანარჩენით ჩადგება ჩიხში № 1. ამით გზა გაეხსნება მატარებელ „ა“-ს, რომელიც გაეშურება თავის მიმართულებით. მატარებელი „ა“ გასვლის შემდეგ მატარებელი „ბ“ სწრაფად გაივლიდა თავის ვაგონებით ჩიხიდან № 1, შეეგა ჩიხში № 2, მიიბრუნა დანარჩენ 5 ვაგონს და ისიც გაეშურება თავისი მიმართულებით.

№ 10

გამოცანები

(ბორის ბეთანელის)

1. რთველი, 2. ქარი, 3. წვიმა, 4. სიზმარი.

№ 11

ჩაინვორდი

„30 წლისთავი“

1. გორი, 2. ინიციატივა, 3. აზერბაიჯანი, 4. იაბლოკოვი, 5. ვასილევსკი, 6. კოშევი, 7. თაზისი, 8. სტალინგრადი, 9. დირიჯაბლი, 10. ლომონოსოვი, 11. ვულკანი, 12. ნუმისმატიკა, 13. კოყედუბი, 14. ბაქო, 15. ოსი, 16. სალუტი, 17. ტრაქტორი, 18. რუსთავი, 19. ივენანა, 20. ნიკელი, 21. ირკუტსკი, 22. კრემლი, 23. ლინგვისტი, 24. ტროლეიბუსი, 25. საქართველო, 26. ორდენი, 27. ია, 28. აეროდრომი, 29. მარგანცი, 30. ციოლკოვსკი, 31. იორი, 32. რუსთაველი.

გამოცანები

(ალ. საჩინოელის)

1. ბურთი, 2. ზარი, 3. მზისუკანა.

* * *

გასართობი გამოცანები ამოხსნეს შემდეგმა პიონერ-მოსწავლეებმა:

კ. ჩხეიძე (თბილისი), ალექო გოგიაშვილი (ქუთაისი), სერგო მაჩალოვა (თეთრიწყარო), შალვა ამინაშვილი (ბოგვი), ლილი კაჭარავამ (ახალი აბაშა), პ. ჯავახიანი (თბილისი), ელგუჯა ბახტაძე (ბახვი), ნ. ჯინჭელაძე (ახალციხე), ვლ. ასლამაზოვა (სიღნაღი), შუქურა დვალაძე (ჭიათურა), ედუარდ ჭანტურიამ (მახინჯაური), თეიმურაზ ტორაშვილი (სვეტლანა ლეონტიევი და ლაბარა მისურაძე (თბილისი), გივი ეფრემიძე (ვანი), ბიბი კუბრაშვილი (ყვარელი), ნევი ხმალიაძე (ყვარელი), მამია გურამიშვილი (სიღნაღი), გური აბრამიძე (ვანი), ლეილა კიკნაძე (გორი), მედეა ქარცივაძე (მაიაკოვსკი) და უშაშვი სოლოღაშვილი.

საბჭოთა არმიის გმირული ბრძოლებით
განადგურებულთა გადერია

